ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჯავახიშვილი თინათინ

ტრადიციული და არატრადიციული ქცევის სტანდარტებისადმი განსხვავებული დამოკიდებულებით გამოწვეული კონფლიქტები (ასაკობრივი ჯგუფის შედარებითი ანალიზი)

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები: თეონა მატარაძე,
ასოცირებული პროფესორი
მარეხ დევიძე
მოწვეული პედაგოგი

თბილისი 2018

ანოტაცია

ტრადიციული და არატრადიციული ქცევის სტანდარტებისადმი განსხვავებული დამოკიდებულებით გამოწვეული კონფლიქტები (ასაკობრივი ჯგუფის შედარებითი ანალიზი)

კონფლიქტი სოციალური მოვლენაა და ადამიანის არსებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ცხოვრება კონფლიქტის გარეშე წარმოუდგენელია. მნიშვნელოვანია ის ცოდნა, რომლის მიხედვითაც განვსაზღვრავთ იმ შინაგან თუ გარეგან ფაქტორებს, რაც იწვევს კონფლიქტს. ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტის შინაგანი არსის გაგება. პიროვნება მთავარ აქტორს წარმოადგენს კონფლიქტში. ნებისმიერი კონფლიქტი დაკავშირებულია ადამიანთან თუ ადამიანების ჯგუფებთან.

ჩემი მთავარი ინტერესის სფეროს წარმოადგენს კონფლიქტში მისი მთავარი აქტორის, პიროვნების ოპერირების დანახვა და ფსიქოლოგიური ასპექტების წარმოჩენა, თუ რამდენად მოქმედებს და ახდენს გავლენას ინდივიდზე შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორები. იწვევს თუ არა ის ფაქტორები ინტრაპერსონალურ ან ინტერპერსონალურ კონფლიქტებს.

დღესდღეისობით კულტურული ნორმები, რომელიც ადრე ძალიან მნიშვნელოვანი და წმინდა იყო ჩვენი მშობლებისთვის, დღეს არც ისე მნიშვნელოვანია, რაც ძალიან ხშირად ასაკობრივ ჯგუფებს შორის კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი ხდება. საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის ის კულტურული ღირებულებები კვლავ ძალიან აქტუალურია, მაგრამ არიან საზოგადოების ისეთი ფენებიც, რომლებსაც ძალიან თანამედროვე/თავისუფალი შეხედულებები აქვთ, რომელიც კონფლიქტში მოდის ტრადიციებთან. ჩემი მიზანია, გავაანალიზო ადამიანის ქცევა, როდესაც დღის წესრიგში დგას კონფლიქტი. კონფლიქტი/დაპირისპირება თუ შემგუებლობა, კონტროლი ოჯახისგან თუ თვითკონტროლი, ორმაგი სტანდარტი ქალებისთვის და კაცებისთვის. ეს ის საკითხებია, რომლის გარშემოც ვისაუბრებ ამ ნაშრომში.

საკვანძო სიტყვები: სოციალური გავლენა, ტრადიციული, არატრადიციული, კონფლიქტი, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური.

Annotation

Conflict driven by contrasting relationship, regarding traditional and non-traditional behavior standards.

(Comporative analyses of age groups)

The conflict is a social phenomen and an integral part of human existence. Life is uniminable without conflict. It is important to have the knowledge that will determine the internal or external factors that lead to conflict. It is also important to understand the inner essence of the conflict. Person is the main actor in the conflict. Any conflict is related to people or groups of people.

My main interest is to see its main actor, the person's operation in conflict and psychological aspects to show how internal or external factors affect the individuals, whether it causes intrapersonal or interpersonal conflicts.

Nowadays, cultural norms that were very important and holy for our parents today are not so important, which are often reason for the conflict between age groups. For the most part of society, cultural values are still very important, but these are also layers of society that have very modern/free views, which is in conflict with traditions. My goal is to analyse human behaviour when the conflict is on agenda. Conflict/confortation or compromise, control of family or self-control, double standart for women tough. These are the issed that are discussed in the work.

Key words: Social impact; Tradition; Untradition; Conflict; Interpersonal; Intrapersonal.

სარჩევი

ანოტაცია 2
Annotation 3
შესავალი 5
კვლევის მეთოდოლოგია 7
2. ლიტერატურის მიმოხილვა 9
2.1 კონფლიქტის ზოგადი დახასიათება 9
2.2 კონფლიქტის ოთხს კომპონენტიანი კლასიფიკაცია 12
2.3 კონფლიქტი და კულტურა 14
2.4 ტრადიციების და კულტურის ურთიერთქმედება 15
2.5 სექსუალობის რაობა - მისი ისტორიული ტრანსფორმაცია და თანამედროვე კვლევები 17
3. სექსუალური განათლება საქართველოში 24
4. ორმაგი სტანდარტები ქალებისთვის და კაცებისთვის 33
5. ოჯახი როგორც მაკონტროლებელი თუ თვითკონტროლის მექანიზმი 42
(ინფივიდუალიზმი, კოლექტივიზმი) 42
დისკუსია / დასკვნა 47
Bibliography 50

შესავალი

თანამედროვე ქართული საზოგადოება ხასიათდება კონფლიქტებითა და დაპირისპირებით, რომელიც ტრადიციული ღირებულებებისა და თანმედროვე ცხოვრების სტილის ერთმანეთთან შეჯიბრით არის გამოწვეული და ყველაზე კარგად ე.წ. „მამათა და შვილთა“ დაპირისპირების ფორმით იჩენს თავს.

ტრანსფორმირებად საზოგადოებაში ნათლად ჩანს თანამედროვე მიდგომები ძველი ტრადიციების მიმართ, რომელიც ითვალისწინებს ან ცვლის თუნდაც ქორწინებამდე წყვილებს შორის სექსუალური ურთიერთობისგან თავის შეკავებას, ქალის თავშეკავებული ქცევის, ტრადიციული ჩაცმის კულტურისა თუ კონტროლის მექანიზმებს. რჩება თუ არა შვილების აღზრდის პროცესში სქესის ნიშნით დეტერმინირებული ორმაგი სტანდარტი - ქალიშვილების ქცევის ჩაცმის კონტროლი, ხოლო ვაჟებისათვის თავისუფლების მინიჭება - კვლევისთვის აქტუალური თემაა. ასევე საინტერესოა თინეიჯერებისა და მშობლების დამოკიდებულებები, მათ შორის მსგავსებები და განსხვავებები თავისუფალი ურთიერთობების შესახებ - ანუ მეგობარი გოგოს და მეგობარი ბიჭის ყოლის შესახებ.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ტრადიციული და არატრადიციული ქცევის სტანდარტებისადმი უფროსი და ახალგაზრდა თაობების განსხვავებული დამოკიდებულებით გამოწვეული კონფლიქტების შესწავლა. კვლევის ობიექტები არიან თინეიჯერები და მათი მშობლები და ექსპერტები - ფსიქოლოგები და კონფლიქტოლოგები.

კვლევის ამოცანებია ახალგაზრდა თაობისთვის დამახასიათებელი სექსუალური ქცევის შესწავლა, მშობლებისა და შვილების დამოკიდებულება ტრადიციების და თავისუფალი ცხოვრების სტილის მიმართ, მშობლების მხრიდან კულტურის ორმაგი სტარნდარტით გამოწვეული ქალიშვილების და ვაჟების განსხვავებული კონტროლის მექანიზმების გამოვლენა, რომელიც ასახვას ჰპოვებს ისეთ ქცევებში, როგორიცაა: გვიან ღამით სახლიდან გასვლა, ჩაცმა, მეგობრებთან ურთიერთობა და სხვა.

საქართველოში მრავალგვარი ტრადიცია გვაქვს. მაგალითად სტურამ-მასპინძლობის, სუფრის, გლოვის, ქორწილის ტრადიციები, რომლებიც დღემდე შემორჩენილი და საკმაოდ აქტუალურია. თუმცა უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ტრადიცია შეიძლება დროსთან ერთად შეიცვალოს. საქართველოში არსებობდა და გარკვეულწილად დღესაც არსებობს ქალწულობის ტრადიციაც, რომელიც წარმოადგენს ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ერთ-ერთ საკვლევ თემას. ქაწულობის ტრადიცია, სექსუალური ქცევა, ორმაგი სტრანდარტები ქალებისთვის და მამაკაცებისთვის სწორედ ის საკითხებია, რომლებიც იწვევს დაძაბულობას და დაპირისპირებას როგორც თაობებს შორის, ისე ერთი თაობის შიგნით და საინტერესო საკითხს წარმოადგენს. საზოგადოების შიდა სოციალური კონფლიქტებით დაინტერესებული პირებისთვის.

მე ყურადღებას გავამახვილებ ტრადიციებსა და კონფლიქტებზე, არა მხოლოდ როგორც დამოუკიდებელ ცნებებზე, არამედ ვეცდები ხაზი გავუსვათ იმ მიმართებებს, რაც ტრადიციულობას ან არატრადიციულობას შეიძლება ჰქონდეს კონფლიქტში. თუმცა, მანამდე მნიშვნელოვანია გავაანალიზო ის პროცესები, რომლებიც საზოგადოების წევრებზე ახდენენ გავლენას.

კვლევის მიზნის და ამოცანების განსახორციელებლად გამოვიყენე კვლევის ტრიანგულაციური მიდგომა. პირველ რიგში მიმოვიხილე სამეცნიერო ლიტერატურა, შემდგომ ეტაპზე გავაანალიზე რაოდენობრივი გამოკითხვის მეორადი მონაცემები, ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან და მოვახდინე კვლევის რელევანტურ საკითხებზე არსებული გადაცემების დისკურს ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია

სამაგისტრო ნაშრომის ფორმირების საწყის ეტაპზე მოვახდინე კვლევის მიზნის იდენტიფიცირება. ნაშრომის მიზანია ტრადიციული და არატრადიციული ქცევის სტანდარტებისადმი უფროსი და ახალგაზრდა თაობების განსხვავებული დამოკიდებულებით გამოწვეული კონფლიქტების შესწავლა. მიზნიდან გამომდინარე განვსაზღვრე კვლევის ამოცანები:

- ახალგაზრდა თაობისთვის დამახასიათებელი სექსუალური ქცევის შესწავლა;
- ტრადიციების და თავისუფალი ცხოვრების სტილის მიმართ მშობლებსა და შვილების დამოკიდებულებების გამოვლენა, მათ შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება;
- მშობლების მხრიდან კულტურის ორმაგი სტანდარტით გამოწვეული ქალიშვილების და ვაჟების განსხვავებული კონტროლის მექანიზმების გამოვლენა, რომელიც ასახვას ჰპოვეს ისეთ ქცევაში, როგორებიცაა გვიან ღამით სახლიდან გასვლა, ჩაცმა, მეგობრებთან ურთიერთობა თუ სხვა.

კვლევის მიზნისა და ამოცანების სისრულეში მოსაყვანად სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გამოვიყენე ტრიანგულაციური მიდგომა, რომელიც ეფუძნება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლიობაში გამოყენებას, რომლის საშუალებითაც რაოდენობრივი კვლევის ზედაპირულობა ბალანსდება თვისებრივი კვლევის სიღრმისეული წვდომის შესაძლებლობებით.

ლიტერატურის მიმოხილვისას გამოვიყენე სამეცნიერო ლიტერატურა (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები და სხვადასხვა ანგარიშები), რომლებიც მოვიძიე ხელით ძებნისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების საშუალებით. ლიტერატურა დავამუშავე კონფლიქტების, კულტურისა და ტრადიციების, გენდერული სტერეოტიპებისა და უთანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ასევე გამოვიყენე რაოდენობრივი გამოკითხვის მეორადი მონაცემები. კვლევა ჩატარებული იყო 2014 წელს თბილისის ივანე ჯავახშვილის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის პროგრამის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების მიერ თემაზე: „სტუდენტების დამოკიდებულება სექსუალობის მიმართ“. სამიზნე ჯგუფი იყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. გამოკითხულ სტუდენტთა შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შესაბამისად კვლევა რეპრეზენტატულ შედეგებს გვაძლევს სტუდენტების დამოკიდებულებებზე. შერჩევის მოცულობა იყო 658 სტუდენტი. კვლევის მიზანი იყო გამოევლინა თბილისში უმაღლეს სასწავლებლებში ჩართული სტუდენტების სექსუალური ქცევები, დამოკიდებულება სექსუალობის, გენდერული სტერეოტიპების, ორმაგი სტანდარტების, სექსუალური განათლების მიმართ. რაოდენობრივი გამოკითხვის მონაცემები დავამუშავე ერთ და ორგანზომილებიან დესკრიპტული სტატისტიკური ტექნიკების გამოყენებით.

სიღრმისეული ემპირიული მონაცემების შეგროვების მიზნით ასევე გამოვიყენე სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. ლიტერატურის მიმოხილვისას, ძირითადი ცნების ოპერაციონალიზაციისას შევქმენი სიღრმისეული ინტერვიუს სახელმძღვანელო, განსხვავებული ვერსიები სხვადასხვა თაობისა თუ სქესის რესპოდენტისათვის. მიზანმიმართული შერჩევის გამოყენებით ჩავატარე 16 ინტერვიუ. კვლევის დასკვნით ეტაპზე ასევე ჩავწერე ერთი ექსპერტული ინტერვიუ კონფლიქტოლოგთან. ინტერვიუ ჩავწერე აუდიო საშუალებით. შემდგომ ეტაპზე მოვამზადე ინტერვიუს ტრანსკრიპტები, ხოლო ანალიზისათვის გამოვიყენე ღია კოდირებისა და კატეგორიზების ტექნიკები.

სექსუალობის, სექსუალური ქცევის, ტრადიციული და თანამედროვე ცხოვრების სტილის ურთიერთდაპირისპირების შესახებ ზოგადად საზოგადოებაში დისკუსიის შესწავლისათვის გამოვიყენე დისკურსის ანალიზის მეთოდი. პირველ რიგში შევაგროვე ვიდეო მასალა სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებიდან და თოქშოუებიდან.

მასალად შერჩეული იყო ისეთი დისკურსები, სადაც ექსპერტები განიხილავდნენ ქალიშვილობის ინსტიტუტის ზეგავლენას საქართველოს კულტურაზე, წარმოდგენილი იყო შემთხვევები, როდესაც ქალიშვილობის ინსტიტუტის ტრადიციის გამო გოგონები

გახდნენ მეუღლეების ძალადობის მსხვერპლნი. დისკურს ანალიზისათვის გამოვიყენე ღია კოდირებისა და კატეგორიების ტექნიკები, ისევე როგორც ტექსტის დისკურსული ანალიზის მიდგომა.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 კონფლიქტის ზოგადი დახასიათება

კონფლიქტები ადამიანის ცხოვრების რეალობას წარმოადგენს. საზოგადოება კონფლიქტის გარეშე არ არსებობს. საჭიროა, კონფლიქტის ძირითადი დებულებების გამოყოფა, რათა ჩვენი თემა უფრო გასაგები და ნათელი გახდეს მკითხველისთვის. ამისთვის საჭიროა, განვსაზღვროთ კონფლიქტის ძირითადი ასპექტები.

კონფლიქტი არის ორი ან მეტი მხარის შეხედულებების, ინტერესების დაპირისპირება, რაც შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახული (ზირიკაშვილი, მაღრაძე, & ჭანიშვილი, 2011), მრავალთაგან, ეს კონფლიქტის ყველაზე ზოგადი განმარტებაა.

კონფლიქტის ფუნქცია შესაძლებელია ორი სახით წარმოვადგინოთ: დესტრუქციული, უარყოფითად აღქმული და კონსტრუქციული, პოზიტიურად აღქმული. ფუნქციური თვალსაზრისით კონფლიქტი საპირისპირო მიმართულების ამსახველია. ადამიანები, ჯგუფები და სხვა, რომდესაც დაპირისპირებულები არიან, ისინი იღწვიან საკუთარი მიზნების მიღწევისკენ. შედეგი კი მსგავსი მისწრაფებისა, შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. აქედან გამომდინარეობს კონფლიქტის პოზიტიური და ნეგატიური ფუნქცია.

დესტრუქციული კონფლიქტი სოციალური სისტემების სხვადასხვა საფეხურზე იჩენს თავს, სადაც კონფლიქტი გამოირჩევა ძალადობრივი მეთოდებით. ასეთ დროს როგორც მატერიალური ზიანი ასევე მსხვერპლიც საკმაოდ დიდია. ასეთ დროს ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური და სხვა სოციალური სისტემები განიცდის სტაგნაციას, კონფლიქტი კი ამის მთავარი მექანიზმია.

კონსტრუქციული კონფლიქტის დროს შესაძლებლობა იჩენს თავს მხარეების მხრიდან გაცნობიერდეს ერთმანეთის ინტერესები, დაადგინონ ესკალაციის დონე და იწყება ზრუნვა მოგვარების გზებზე.

ხშირად, კონფლიქტის ამოსავალი წერტილი ხდება რაიმე მოვლენა თუ ამბავი ან ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს ცრუ ან გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით გავრცელებული, რეალური მიზეზი კი აბსოლუტურად სხვა. კონფლიქტის ობიექტი, კონფლიქტში მონაწილე მხარეები და გარემო კონფლიქტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს.

კონფლიქტის ობიექტი გულისხმობს მატერიალურ, ან სულიერ და სხვა ფასეულობებს, რის საფუძველსზეც წარმოიშობა ინტერესების შეჯახება მხარეებს შორის. კონფლიქტის ობიექტი ყოველთვის შეზღუდულია, რადგან მხარეთა ინტერესებთან არის კავშირში.

კონფლიქტის მხარეები გულისხმობს მონაწილეებს, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად.

კონფლიქტს გააჩნია თავისი გარემო, სადაც იგი მიმდინარეობს, რომელიც ფიზიკური, სოციალური და ფსლიქოლოგიური სივრცეებისგან შედგება. გარემო შესაძლებელია იყოს როგორც ვრცელი, ასევე ლოკალური. გარემო კლასიფიცირდება როგორც „მინი“, ასევე „მაკრო“ ნიშნებით (ზირიკაშვილი, მაღრაძე, & ჭანიშვილი, 2011).

კონფლიქტი დიფერენცირდება ტიპებით. ვ. ლინკონი გამოყოფს ხუტი ტიპის კონფლიქტს. ესენია: ინფორმაციული კონფლიქტი, ინსტიტუციური კონფლიქტი, ღირებულებითი კონფლიქტი, ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტი და ინტერესთა კონფლიქტი (Shanbhogue-Arvind, 2013). განვიხილოთ კონფლიქტის თიოოეული ტიპი ცალ-ცალკე.

ინფორმაციული კონფლიქტი გულისხმობს ისეთ კონფლიქტს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის სიმცირესთან ან სიჭარბესთან. ინფორმაცია თავისი

ხარისხით და ოდენობით, რომელიც ერთი მხარისთვის მისაღებია, ხოლო მეორესთვის არა, იწვევს კონფლიქტის გამწვავებას, ესკალაციას. გარდა ამისა ინფორმაციის სიჭარბეც ერთ-ერთი მადეტერმიანებელი ფაქტორია კონფლიქტის. სახელდობრ, ინფორმაციული კონფლიქტი გულისხმობს, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შეხება აქვთ და ხელი მიუწვდებათ სხვადასვხა საინფორმაციო წყაროებთან. ასეთი ტიპის კონფლიქტის გადაჭრას ხელს უწყობს სწორედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაადვილება და გასაჯაროებაზე მუშაობა.

ისეთი კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებულია წესებთან, ნორმებთან და კანონებთან წარმოადგენს **ინსტიტუციურ კონფლიქტებს.** ამ ტიპის კონფლიქტის გადაჭრა ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. კონფლიქტის გადაჭრას ხელს უწყობს სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეთანხმებების დარღვევა და სიტუაციის საჯაროდ განხილვა. ამ ტიპის კონფლიქტები დაკავშირებულია კონინერ ხელისუფლებასთან, ტრადიციებთან, მართვის სისტემასთან, ტექნიკურ ნორმატივებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და ა.შ.

ღირებულებებთან დაკავშირებული **კონფლიქტის** დროს დაპირისპირებული მხარეები აყალიბებენ ისეთი სახის მსჯელობებს, რომელიც აბსოლუტურს უტოლდება, სადაც არ დათანხმება უღირს, ცუდ ქცევად და არასამართლიანად აღიქმება.

ურთიერთდამოკიდებულებიტი კონფლიქტი ემოციური ხასიათის მატარებელია. ამ სახის კონფლიქტების მოგვარება პირველ რიგში, ემოციების დარეგულირებას საჭიროებს. ამ სახის კონფლიქტი ფართოდ განიხილება. იგი ასევე მოიცავს იდენტიფიკაციას, რომელსაც ადამიანი ახდენს ჯგუფებთან, საზოგადოებასთან, ერთან, პარტიასთან და თემთან.

რაც შეეხება **ინტერესთა კონფლიქტს**, იგი დაკავშირებულია ქცევებთან და მოთხოვნილებებთან. თუ მოთხოვნილებების მოჩვენებითობა და რეალურობა თანხვედრაში არ მოდიან ერთმანეთთან ეს წარმოშობს კონკურენციას, რაც ნეგატიურ ფონს

ქმნის და ცუდ შედეგამდე მივყავართ. საჭიროა მხარეთა შორის იყოს ინტერესთა შესატყვისაობა, რაც კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

კონფლიქტის დროს შესაძლებელია ხუთივე ტიპის კონფლიქტიდან რომელიმემ იჩინოს თავი. არსებობს ისეთი ხასიათის კონფლიქტიც, სადაც მხოლოდ რამდენიმემ ან ხუთივე ტიპის არსებობაა შესაძლებელი.

კონფლიქტი ხასიათდება დინამიკით, რაც გამოიხატება ესკალაცია და დეესკალაციის სახით. ესკალაცია გულისხმობს გამწვავებას, გაძლიერებას, მუქარას, აგრესიას და მტრობას. ესკალაცია რეგრესიულია და ხასიათდება ინტენსივობის სხვადასხვა დონეებით. საწყისი წერტილი ინციდენტი, რომელიც ფორმირდება და გადაიზრდება კონფლიქტის უმაღლეს სტადიაში, ბრძოლაში, შეტაკებაში.

რაც შეეხება დეესკალაციას, იგი ესკალაციის საპირისპირო მოვლენას წარმოადგენს. ამ დროს, მხარეები აანალიზებენ, რომ შეუძლებელა რომელიმე გამოჩნდეს უპირატესი და იწყება ფიქრი როგორ მოაგვარონ კონფლიქტი.

2.2 კონფლიქტის ოთხს კომპონენტიანი კლასიფიკაცია

ზემოთ მოყვანილი კონფლიქტის ტიპებისგან განსხვავებით, არსებობს სხვა სახის კლასიფიკაცია, რომელიც ახასიათებს ოთხი ტიპის კონფლიქტს, რომლებსაც საკამოდ ხშირად ვაწყდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. ესენია: ინტერპერსონალური კონფლიქტები, ინტრაპერსონალური კონფლიქტები, შიდაჯგუფური კონფლიქტები და ჯგუფთაშორისი კონფლიქტები. დავახასიათოთ თითოეული **ინტერპერსონალური კონფლიქტი** გულისხმობს ორ ცალკეულ პერსონას, ინდივიდს შორის კონფლიქტს. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი ქცევებით, ხასიათით, ატიტუდებით, ღირებულებებით, რაც მათ პიროვნებას სხვა პიროვნებებთან მიმართებაში განსხვავებულად წარმოაჩენს. სწორედ ეს განსხვავება შეიძლება იყოს ინტერპერსონალური კონფლიქტის წყარო. ადამიანებს უჭირთ საერთო ენის პოვნა საერთო საკითხთან დაკავშირებით, რაც ხშირად წარმოშობს კონფლიქტებს.

- **ინტრაპერსონალური კონფლიქტი** წარმოადგენს პიროვნების შიგნით წარმოშობილ კონფლიქტს, რომელიც მიმდინარეობს მის გონებაში. საინტერესო არის იმით, რომ აქ მრავლადაა ჩართული ფსიქოლოგიური ასპექტები, ადამიანის ღირებულებები, ატიტუდები, ემოციები და ფიქრები. ინტრაპერსონალური კონფლიქტი შეიძლება მრავალი მიზეზისგან წარმოიშვას. დაწყებული სამომავლო პროფესიის შერჩევით, დამთავრებული გარემოსთან შეჯახებით. ასეთი კონფლიქტების გადაჭრა საკმაოდ რთულია, თუ კონფლიქტის ზუსტი წარმოშობის მიზეზი არ დადგინდა.
- **შიდაჯგუფური კონფლიქტი** გულისხმობს კონფლიქტს, რომელიც ხდება ჯგუფის წევრებსს შორის. ნორმების შეუთავსებლობას, წევრებს შორის გაუგებრობას შეუძლია მიგვიყვანონ შიდა ჯგუფურ კონფლიქტამდე. ამ გაუგებრობის წარმოშობის მიზეზი თავისუფლად შეიძლება იყოს ინტერპერსონალური უთანხმოებები. სახელდობრ, ჯგუფის წევრებს განსხვავებული შეხედულებები, იდეები, ხედვები, პიროვნული მახასიათებლები, რამაც გამოიწვიოს ჯგუფში დაძაბულობა. შიდაჯგუფურ კონფლიქტს პოზიტიური მხარეც აქვს. შესაძლებელია ჯგუფი მივიდეს ახალ ხედვებამდე, იდეებამდე, რაც ჯგუფის მუშაობაზე დადებით ასახვას ჰპოვებს. ამდენად, შიდაჯგუფური კონფლიქტი შეიძლება განვითარების წინაპირობა გახდეს.
- **ჯგუფთაშორისი კონფლიქტებს** ადგილი აქვთ მაშინ, როდესაც გაუგებრობაა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რომელიც ასევე შეიძლება იყოს რომელიმე დიდი ორგანიზაციული ჯგუფები, დეპარტამენტები, სამსახურები. მათ შეიძლება ერთმანეთში კონფლიქტი წარმოეშვათ. კონფლიქტები შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფებს შორის განსხვავებებმა, რომელიც ასახულია როგორც მიზნების ასევე კონკრეტული ამოცანისადმი მიდგომებში, სტრატეგიებში; აგრეთვე, შეჯიბრის მცდელობამ ან კონკურენციამ და სხვა. ჯგუფთაშორისი

კონფლიქტები რთულად მოსაგვარებელია თუ მაღალია ესკალაციის დონე ან ვითარება ხასიათდება გამწვავებისკენ მიდრეკილებით.

2.3 კონფლიქტი და კულტურა

კონფლიქტის სხვადასხვა კლასიფიკაციის განხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია განვიხილოთ კულტურის რაობა და კულტურასთან დაკავშირებული კონფლიქტის არსი. ზოგადად, კულტურა მნიშვნელოვანი მსაზღვრელია ადამიანის აზრისა და ქცევის. სწორედ კონფლიქტში იჩენს თავს კულტურული თავისებურებები. უფრო ზუსტად რომ ვთქვავთ, კონფლიქტის მონაწილეებს შორის კულტურული ერთობა და ამ ნიშნით მსგავსება განაპირობებს კონფლიქტის მხარეთა ქცევების მსგავსებას. იმ შემთხვევაში თუ კონფლიქტებს შორის კულტურული სხვაობაა და ურთიერთობის წესებიც არ არსებობს, ამან შესაძლოა ნეგატიური ასახვა ჰპოვოს კონფლიქტის მიმდინარეობაზე. თუ საერთო ქცევები არ არსებობს, რომელსაც მხარეები იზიარებენ და ეს ხაზი მათ შორის გამქრალია, კონფლიქტი განსაკუთრებით საშიში და დამანგრეველი ხდება (ბერეკაშვილი, და სხვ., 2015).

ნებისმიერი ჯგუფი ცდილობს თავისი სამყარო, სუბკულტურა ჩამოაყალიბოს და შექმნას იმ წესებით და ნორმებით, რომელსაც გაიზიარებენ თავიანთი ჯგუფის წევრები. ნორმების არარსებობა ქაოსს ქმნის და აშინებს თითოეულ ადამიანს, რომელი ჯგუფშია ინტეგრირებული. რეგულაციები, რომლებსაც ისინი აწესებენ საკმაოდ მკაცრი და ხშირად ძლადობრივიცაა. ისინი, ვინც დაარღვევენ არსებულ ნორმებს და წესებს მკაცრად დაისჯებიან. რა თქმა უნა, ამ ნორმების და სუბკულტურის მიმართებების ჩამოყალიბება ხშირად ღრმად იდგამს ფესვებს ჯგუფებში; რაც მთავარია მადეტერმინანტებელი საშუალება ხდება თითოეული წევრის ქცევის და მოქმედების სისწორის გასაკონტროლებლად მთავარ მექანიზმს და სტანდარტს ქმნის, რაც განაპირობებს ჰარმონიას და არა ქაოსს. ამდენად, კულტურა ასე თუ ისე აწესრიგებს სამყაროს, მოწესრიგებულ გარემოში ცხოვრება თავისთავადია და ადამიანმა იცის რა შეიქძლება მოჰყვეს ამას. ეს კი ფსიქოლოგიურ კომფორტს განაპირობებს.

მიუხედავად ამისა, სწორედ მსგავს ჰარმონიულ გარემოში და საერთო კულტურულ ნორმებში მყოფ ჯგუფებს შორის საკმაოდ მწვავე და დაუნდობელ კონფლიქტებს აქვს ადგილი. ასევე, ხშირად ადგილი აქვთ კულტურათაშორის კონფლიქტებსაც.

2.4 ტრადიციების და კულტურის ურთიერთქმედება

ტრადიციის, როგორც კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტის, მრავალი განსაზღვრება გვხვდება სოციალურ მეცნიერებში. წარმოდგენილი ნაშრომისათვის მე შევარჩიე ტრადიციის ზოგადი განსაზღვრება, რომელიც ამ ტერმინის როგორც არსობრივ, იასევე ყოფით ასპექტებს ითვალისწინებს. ცნება ტრადიცია ლათინური წარმოშობის ტერმინია (Traditio) და აღნიშნავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ და თაობიდან თაობაზე გადაცემულ ადათებს, წესებს, ყოფაქცევის ნორმებს. ტრადიცია შესაძლოა გავრცელებული იყოს გარკვეული სოციალური ჯგუფის (ერის, სუბეთნიკური ჯგუფის, ერთი ქალაქის მოსახლეობის, ოჯახის) შიგნით ან თაობაში. მსგავსი ტრადიციების მქონე სოციალური ჯგუფები აყალიბებენ კულტურას. ტრადიციის მაგალითია ადამიანთან მოპყრობის ან მისალმების განსხვავებული ფორმები სხვადასხვა საზოგადოებაში, ეს ტრადიციები ინსტიქტებისაგან განსხვავებით თანდაყოლილი არაა, ტრადიციებს ადამიანები სოციალიზაციის გზით ამა თუ იმ კულტურაში ცხოვრებით ითვისებენ და გადასცემენ (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, 2004).

კულტურის კვლევის, მისი სახის განსაზღვრის მცდელობისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, „სხვა, ჩვენი კულტურისაგან განსხვავებული კულტურის ადამიანებთან დიალოგი თანამედროვე ცნობიერების განუყოფელი ფუნქციაა“, მეორე მხრივ კი, „კულტურა, ყველაზე ფართო მნიშვნელობით, არის ის, რის გამოც შენ უცხოდ იქცევი, როგორც კი შენს სახლს დატოვებ...როდესაც იმყოფები შენს ჯგუფში, იმ ადამიანებს შორის, რომლებთანაც საერთო კულტურა გაქვს, შენ არ გიხდება ფიქრი საკუთარ აზრებსა

და ქცევაზე, რადგან შენც და ისინიც, პრინციპში, ერთნაირად ხედავთ სამყაროს, იცით, რას შეიძლება მოელოდეთ ერთმანეთისგან. მაგრამ უცხო საზოგადოებაში უსუსურობისა და დეზორიენტირებულობის გრძნობა გეუფლება“. ეს ეხება არა მხოლოდ ცოცხალ კონტაქტს ადამიანებს შორის, არამედ, აგრეთვე, კულტურის კვლევის პროცესს (კოდუა, 2001, გვ. 88).

სოციალურ მეცნიერებაში საზოგადოებასა და კულტურას ხშირად აიგივებენ. მსჯელობენ საზოგადოებაზე და მხედველობაში აქვთ კულტურა, ან პირიქით, კულტურაზე მსჯელობისას საზოგადოებას ახასიათებენ, მაგრამ ამ ორი სოციალურ კატეგორიის მსგავსების მიუხედავად, ისინი განსხვავებულ ფენომენს აღწერენ. ასე რომ მათი გაიგივება შეუძლებელია. მათ შორის მიმართების გარკვევა მრავალ სიძნელეს შეიცავს. ერთ-ერთი მათგანია ამ მცნებათა მრავალმნიშვნელოვანება. კულტურა ერთ შემთხვევაში გაგებულია, როგორც ადამიანის მიერ შემოტანილი ყველა სახის ღირებულება. სმელზერის მტკიცებით „კულტურა ცხოვრების წესით დაკავშირებულია ღირებულებათა სისტემაა“ (Смелзер, 1998).

კულტურისა და საზოგადოების მიმართებაზე მსჯელობისას ენტონი გიდენსი აღნიშნავს, რომ „კულტურის ცნების საზოგადოების ცნებისაგან გამოყოფა შესაძლებელია მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მათ შორის მჭიდრო კავშირიც. კულტურას მიმართება აქვს მოცემული საზოგადოების წევრთა ცხოვრების წესთან. მათ ჩვევებსა და ტრადიციებთან. ასევე მათ მიერ წარმოებულ დოვლათთან. საზოგადოება გულისხმობს ურთიერთქმედებათა სისტემას, რომელიც საერთო კულტურისადმი კუთვნილ ადამიანებს აკავშირებს“ (Гидденс, 1999). ამიტომ გიდენსი მართებულად აღნიშნავს კულტურისა და საზოგადოების განუყრელობას. „ვერც ერთი კულტურა ვერ იარსებებდა საზოგადოების გარეშე და არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია კულტურის გარეშე არსებობა“ (Гидденс, 1999, стр. 183). მხოლოდ კულტურა გვხდის ადამიანებად. ადამიანები კი საზოგადოებებად ერთიანდებიან (1999).

იქედან გამომდინარე, რომ კულტურა ძალიან ფართო ცნებაა და თავის თავში მოიაზრებს საზოგადოების სულიერ და მაკონტროლებელ ასპექტებს, მისი ზოგადი

განსაზღვრების შემდეგ გადავალ კულტურის იმ კონკრეტული ასპექტების განხილვაზე, რომელიც ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ამოსავალი ასპექტია.

2.5 სექსუალობის რაობა - მისი ისტორიული ტრანსფორმაცია და თანამედროვე კვლევები

სექსუალობა ლათინური წარმოშობის სიტყვაა (Sexualis), პირველსაწყისად უკავშირდება სქესობრივს და ადამიანის სექსუალური აქტივობის, ლტოლვის, სექსუალური ქცევის, რეაქციების ერთობლიობას აღნიშნავს. ყველა საზოგადოებაში არსებობს წარმოდგენები და რელიგიურ-კულტურული ნორმები, ჩარჩოები, თუ როგორ უნდა ავლენდეს ან არ ავლენდეს მამაკაცი თუ ქალი თავის სექსუალობას. სექსუალობას და, სქესობრივ მორალს თავისი ისტორია აქვს. იგი ისტორიულ-კულტურული, ეთნოგრაფიული, გენდერული კვლევის საგანია, თუმცა ხშირად ხდება სოციალური მეცნიერებების ინტერესების სფეროშიც, რადგან სწორედ ისტორიულად ფესვგადგმული ნორმები არეგულირებს დღესაც საზოგადოებაში არსებულ განწყობებს და დამოკიდებულებებს. არსებობს საზოგადოებრივი ნორმები ჰეტეროსექსუალობის, ბისექსუალობისა თუ ჰომოსექსუალობის გამოვლენებებისადმი და საზოგადოების ლიბერალობის ხარისხის მიხედვით, შეიძლება იყოს მკაცრად ან პირიქით ნაკლებად კონტროლირებული სექსუალობა და მისი გამოვლენა ასევე აისახება და აფორმირებს ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტებს თუ ურთიერთობების ფორმებს, როგორებიცაა ოჯახი, ქორწინება, კონკუბინატი, რეპროდუქციული უფლებების რეალიზება და ა.შ. (მერკვილაძე, 2003).

სექსუალობის ცნების განსხვავებული განსაზღვრება გვხვდება სხვადასხვა ავტორებთან. ფორმალური განსაზღვრების მიხედვით „ადამიანის სექსუალური ქცევა, რომელიც სიამოცნების მიღების სურვილით სტიმულირდება, გულისხმობს პარტნიორის ან პარტნიორების ძიებას, ინდივიდებს შორის ურთიერთობას, ფიზიკურ, ემოციურ ინტიმურობას, მასტურბაციას, სექსუალურ პრელუდიას (foreplay), რომელიც გადაიზრდება სექსუალურ კონტაქტში და საბოლოო ჯამში მიდის ორგაზმამდე“ (ცერცვაძე, 2013, გვ. 157).

არის ამ ცნების განსხვავებული დეფინიციებიც, რომლებიც აქცენტს უფრო მეტად ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებებზე და იდენტიფიკაციაზე აკეთებე. მაგალითად, სექსუალობა მოიაზრებს ეროტიკად და უკავშირდება „ქალურ და კაცურ თვითაღქმას, უნარს, რომელიც შეიცავს მათ ეროტიკულ გამოცდილებებსა და გამოხმაურებებს (ცერცვაძე, 2013, გვ. 156). თუმცა საბოლოო ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრაზე თითოეულ ავტორთან გავლენას ახდენს სფერო, ისევე როგორც კულტურული, პოლიტიკური, სამართლებრივი კონტექსტი და მორალური, ეთიკური, რელიგიური.

სექსუალობაზე მსჯელობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული ასპექტები, ბიოლოგიური თვალსაზრისით ადამიანის სექსუალურ ქცევას მჭიდროდ აკავშირებენ რეპროდუქციულ ფუნქციას, ორგანულ და ნევროლოგიურ რეაქციებს, მემკვიდრეობას, ჰორმონალურ და სხვა ანატომიურ სამედიცინო საკითხებს. ფსიქოლოგიური კუთხით სექსუალობის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა ზიგმუნდ ფროიდმა, შესაბამისად მიდი გავლენით სექსუალობა უფრო ბავშვის ადრეული განვითარებას და ფსიქოანალიზს დაუკავშირდა. სექსუალობის ფსიქოლოგიური შესწავლა აქცენს აკეთებს იმ ფსიქოლოგიური ასპექტებზე, რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენენ სექსუალური ქცების და გამოცდილების ჩამოყალიბებაზე. ეს ფსიქოლოგიური ასპექტები შეიძლება იყოს ბავშვის ფსიქოსექსუალური განვითარება, ელექტრას და ოიდიპოს კომპლექსი, სექსუალური ქცევების გამო დასჯა და სხვა (ცერცვაძე, 2013).

ჩემი კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი სექსუალობასთან მიმართებაში მისი სოციოკულტურული ასპექტების განხილვაა. სოციალური და კულტურული მეცნიერებების პოზიციებიდან სექსუალური ქცება მოიაზრება სოციალური ცხოვრების ნაწილად, რომელზეც გავლენას ახდენს კულტურული და სოცუალური ნორმები, ეთნიკუი და სასობრივი ჯგუფების თავისებურებები, პოლიტიკა, მასმედია. თუმცა ამ უკანასკნელი ფაქტორების ცვლილებამ, შეიძებასექსუალობის აღქმისა და სექსუალური ქცევის რევოლუციური ტრანსფორმაცია გამოიწვიოს, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავ კიდეც. მსგავსად ფსიქოლოგიური

მიდგომისა, სექსუალობის სოციო-კულტურული პოზიციიდან განხილვისას მთავარი აქცენტი ბავშვის სოციალიზაციაზე კეთდება, თუმცა ეს არ განიხილება რიგიდულად და საზოგადოების და რეფერენტული ჯგუფების განწობების ცვლილებასთან ერთდ ტრანსფორმირებად ფენომენად არის წარმოჩენილი (ცერცვაძე, 2013).

სექსუალური ქცევის დასავლური ხედვა დაახლოებით ორი ათასი წლის განმავლობაში ქრისტიანული რელიგიის გავლენას განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქრისტიანულ სექტებსა და მოძღვრებებს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ სექსუალობის ადგილის შესახებ ცხოვრებაში, ქრისტიანულ ეკლესიაში გაბატონებული თვალსაზრისის მიხედბით, ნებისმიერი სექსუალური ქცევა ეჭვიშ ქვეშ იყო დაყენებული და გამონაკლისს მხოლოდ გამრავლების საკითხი წარმოადგენდა. იყო პერიოდები, როდესაც ეს შეხედულება სირცხვილის განსაკუთრებულ გრძნობას იწვევდა საზოგადოებაში. თუმცა, სხვა დროს მრავალი ადამიანი უგულებელყოფდა ან წინააღმდეგობას უწევდა ეკლესიის სწავლებას და ერთობლივად ერთვებოდნენ ქმედებებში, რომელიც აკრდძალული იყო რელიგიურ ავტორიტეტთა მიერ. იდეა, რომ სქესობრივი ურთიერთობა შეიძლება და უნდა განხორციელდეს ქორწინებაში, იშვიათად სრულდებოდა.

მეცხრამეტე საუკუნეში რელიგიური ვალდებულებები სექსუალობის შესახებ, ნაწილობრივ, სამედიცინო მოსაზრებით იქნა ჩანაცვლებული, თუმცა ისინიც ისეთივე სიმკაცრით გამოირჩეოდა, როგორც ეკლესიის შეხედულებები. ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი სექსუალური აქტივობა, რაც გამრავლებასთან არ იყო დაკავშირებული, ორგანიზმს სერიოზულ ფიზიკურ ზიანს აყენებდა. ვიქტორიანული პერიოდი სქესობრივი ფარისევლობით იყო აღვსილი. ითვლებოდა, რომ პატიოსანი ქალები ინდიფერენტულები იყვნენ სექსის მიმართ და ქმრების მიერ გამოხატულ ყურადღებას მხოლოდ ვალდებულების მოხდად ღებულობდნენ (Giddens, 1997).

მრავალი ვიქტორიანელი მამაკაცი, გარეთ კეთილგონიერ, წესიერ მოქალაქედ რომ ითვლებოდა და, თითქოსდა, ცოლის ერთგულებით გამოირჩეოდა, მუდმივად სტუმრობდა

მეძავებს და საყვარლებს მეურვეობდა. მართალია, ამგვარ საქციელს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, მაგრამ ელიტის წარმომადგენელი ქალები, რომლებსაც ქორწინების გარეშე ან პარალელურად სასიყვარულო ურთიერთობები ჰქონდათ, მათი საქციელის გამოაშკარავების შემთხვევაში, წესიერ საზოგადოებაში სკანდალს და ზიზღს იწვევდნენ. ქალისა და მამაკაცის სექსუალური აქტივობების მიმართ განსხვავებულმა მიდგომამ ორმაგი სტანდარტი შექმა, რაც დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა და რომლის ნაშთები დღესაც შემორჩენილია მთელ რიგ საზოგადოებებში (Giddens, 1997).

1940-1950-იანი წლებში, შეერთებულ შტატებში, ალფერდ კინსმა გადაწყვიტა თავის თანამშრომლებთან ერთად ჩაეტარებინა კვლევა რეალური სექსუალური ქცევის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კინსიც და მისი თანამშრომლებიც სასტიკად იყვნენ გაკიცხულნი რელიგიური ორგანიზაციების მიერ და გაზეთებსა და კონგრესში მათ ნაშრომებს ამორალურს უწოდებდნენ, კინსიმ უკან არ დაიხია და დროთა განმავლობაში მოახდინა ამერიკის თეტღკანიანი მოსახლეობის საკმაოდ რეპრეზენტატული შერჩევა და შეაგროვა 18 000 ადამიანის მონაცემი მათი სექსუალური ცხოვრების შესახებ.კინსის შედეგებმა საზოგადოება შოკში ჩააგდო, ვინდაიდან მათ დიდი სხვაობა აღმოაჩინეს სექსუალური ქცევის იმ დროს გავრცელებული საზოგადოებრივი მოლოდინებისა და რეალურ სექსუალურ პრაქტიკას შორის (Kinsey, 2018).

კინსის შემდეგ სექსუალობის შესახებ ასეთი მასშტაბური კვლევა მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს ჩატარდა, როდესაც ლალინ რუბინმა გამოკითხა ცამეტიდან ორმოცდარვა წლამდე ათასი ამერიკელი, იმის დასადგენად, თუ რა სახის ცვლილებები მოხდა სექსუალურ ქცევაში და დამოკიდებულებებში, ბოლო 30 წლის მანძილზე. მისმა კვლევამ ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება დააფიქსირა: სექსუალური აქტოვობა უფრო ადრეულ ასაკში იწყებოდა, ვიდრე ეს წინა თაობაში იყო, თინეიჯერების სექსუალური პრაქტიკა უფრო მრავალგვარი და ფართო იყო, ვიდრე ზრდასრულებში, ორმაგი სტანდარტები ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ძალას, თუმცა იგი ისე ძლიერი არ იყო, როგორც წინა თაობაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ ქალები უფრო მომთხოვნები გახდნენ სექსუალური უთიერთობის მიმართ. მათ სურდათ, არა

მხოლოდ უზრუნველეყოთ, არამედ თავადაც მიეღოთ სექსუალური კმაყოფილება - ფენომენი, რაც რუბინის აზრით, ორივე სქესისთვის უმთავრეს შედეგს წარმოადგენდა. წინა პერიოდთან შედარებით, ქალები გაცილებით თავისუფალნი გახდნენ. თუმცა ამას გამოიწვია მამაკაცების ნაწილობრივ დაკომპლექსება. მათი განცხადებით ისინი „არაადეკვატურად გრძნობენ თავს," შიშობენ, რომ „ვერასოდეს გააკეთებენ რაიმეს შესაბამისად" და მიაჩნიათ, რომ დღევანდელ დღეს „შეუძლებელია ქალების დაკმაყოფილება" (Rubin, 1990).

სექსუალური შეხედულებები და ქცევის ნორმები განსხვავდება თაობებს შორის. სექსუალური რევოლუციის დროს შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი კონტროლის შემცირება და საიმედო ინფორმაციის მიღება სექსუალური ცხოვრების განსახილველად.

ადრეულ წლებში რუსეთში ქალს ხედავდნენ მხოლოდ ოჯახში, რომელსაც არ ჰქონდა მუშაობის უფლება, თუმცა მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის დროს. 1940-იან წელში ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებულთა 30%-ს უკვე ქალები წარმოადგენდნენ (NAKACHI, 2011).

რუსეთში სექსუალური რევოლუციის დაწყება ნაწილობრივ გამოწვეული იყო დემოკრატიული თავისუფლების ნაკლებობითა და საბჭოთა პერიოდში სექსუალური ცხოვრების საჯარო განხილვის აკრძალვით. რუსეთში სექსუალური რევოლუციის პირველი ეტაპი 1970-იან წლებში დაიწყო და მას შემდეგი შედეგები მოყვა: სექსუალური ქცევა შედარებით თავისუფალი გახდა, სქესობრივი ცხოვრების ასაკი, როგორც გოგონებში ასევე მამაკაცებშიც, შემცირდა; გაცხადებული გახდა ჰომოსექსუალური ურთიერთობები (Engel, 1987). მედიაში სექსის თემა ისევ ტაბუირებული დარჩა, დასავლეთის ფილმებში ეროტიკული სცენები კი ამოჭრილი (Gorsuch, 1992). კონტრაცეპრივების დეფიციტის გამო ამ პერიოდში აბორტების რაოდენობამ იმატა (Carleton, 1997).

სექსუალური რევოლუციის მეორე ეტაპი ემთხვევა პოსტსაბჭოთა პერიოდს, როდესაც უკვე სექსუალურ თემებზე საჯარო ლაპარაკი დასაშვები ხდება და ვითარდება კონტრაცეპტივების ინდუსტია. საზოგადოება უკვე სქესობრივი ცხოვრებით სიამოვნებას

ღებულობს და არასასურველი ორსულობისგან თავის დაცვა პრობლემას აღარ წარმოადგენს (Carleton, 1997).

თანამედროვე რუსეთში სექსუალური რევოლუცია არის წინააღმდეგობრივი პროცესი. ერთის მხრივ სექსუალური პარტნიორები თანასწორუფლებიანად გვევლინებიან, მეორეს მხრივ კი ჯერ კიდევ არსებობს ორმაგი გენდერული სტანდარტი. მამაკაცებისგან განსხვავებით ქალების სექსუალური ქცევები და პარტნიორების რაოდენობა შეზღუდულია (ავტორთა გუნდი, 2006).

რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, ქართული კულტურა, როგორც პატრიარქალური კულტურა, რომელიც ქრისტიანული მორალის დიდ გავლენას განიცდიდა, ასევე ხასიათდებოდა დასავლეთ ევროპისთვის დამახასიათებელი ორმაგი მორალით, მამაკაცების სექსუალური თავისუფლებით და ქალთა სექსუალური და ქალთა სექსუალური ქცევის მაღალი კონტროლით და ზოგადად ამ თემის ტაბუირებით. თუმა პოსტსოციალურ პერიოდში საზღვრების გახსნამ, მასმედიის საშუალებებში სექსუალობის ნიშნით ცენზურის მოხსნამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. 1990-2000 წლების მდგომარეობის დასახასიათებლად გამოვიყენებ კველვას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მეორე კურსის სტუდენტებმა 2002 წელს ჩაატარეს. კვლევის მიზანი იყო გამოეკვეთა „ქალწულობის ტრადიციის“ არსებობით გამოწვეული პრობლემები და ეჩვენებინათ ქართულ საზოგადოებაში დამყარებული ორმაგი სტანდარტი. სამიზნე ჯგუფი იყო ორივე თბილისის უმაღლეს სასწავლებლების ორივე სქესის სტუდენტები. შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხული ბიჭების დაახლოებით 68%-სთვის აუცილებელიასაცოლის ქალწულობა. თუმცა ქალწულობის ტრადიციის ერთგულება ასევე დამახასიათებელი აღმოჩნდა ქალთველი ახალგაზრდა გოგონებისთვის, რომელთა 51.25% აცხადებდა რომ „ქალწულობის ტრადიცია მათი ცხოვრების წესია“ (მატარაძე, ჩარკვიანი, გელაშვილი, & ჭელიძე, 2002).

2008 წელს მარიამ გაგოშაშვილმა თავის თემასთან - „ქალების რეპროდუქციული გადაწყვეტილებები: სვანეთსა და თბილისში“ - დაკავშირებით ჩაატარა კვლევა, რომელიც

შეეხებოდა: რეპროდუქციას, წყვილების სექსუალურ თანაცხოვრებას ცხოვრებას და ქალებისთვის მუშაობის უფლებას. გამოკითხული იყო 26 დაოჯახებული ქალი ორივე რეგიონში. ბავშვის დაბადების კონტროლზე სხვანეთში ერთ-ერთმა რესპოდენტმა განაცხადა, რომ მისი ორსულობა კონტროლდება დედამთილისა და მულის მიერ. მათ არ აძლევენ აბორტის საშუალებას, მხოლოდ იმ შემთხვევაშია აბორტი შედარებით მისაღები თუ ქალი გოგონაზეა ორსულად, ოჯახს კი ვაჟი უნდა. იმის გამო რომ აბორტის გაკეთებას ოჯახი არ თანხმდება თბილისშიც და სვანეთშიც მუცლის მოშლის გამო ქალები მიმართავენ არა საავადმყოფოებს არამედ ისეთ ჯანმრთელობისთვის საშიშ ქმედებებს, როგორიცაა: სიმძიმის აწევა და სხვა. რაც შეეხება მუშაობის უფლებას სვანეთში გამოკითხული არცერთი რესპოდენტი ქალი არ მუშაობდა და ისინი ბავშვებზე ზრუნვას ახარჯებენ მთელ თავიანთ დროსა და ენერგიას, თბილისში ამ მხრივ უკეთეესი მდგომარეობაა, ძირითადად რესპოდენტები დასაქმებულები არიან, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ ქმარი მათ მუშაობას უშლის. ასევე, სვანეთში მისაღებია ისეთ ოჯახში ცხოვრება სადაც რამდენიმე თაობის წარმომადგენლები ცხოვრობენ, თბილისში ამ მხრივაც ვნახულობთ განსხვავებას და ძირითადად წყვილი ცალკე ცხოვრებას ამჯობინებს (Gagoshashvili, 2008).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურის და ჩატარებული კვლევების განხილვა გვიჩვენებს, სექსუალობის კონტროლი ისტორიულად დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა საზოგადოებისთვის. თუმცა პატრიარქალურ საზოგადოებებში განსხვავებული მორალი მუშაობდა მამაკაცებთან და ქალებთან მიმართებაში. ქალი, როგორც მართული, სხვაზე დამოკიდებული და სუსტი არსება, სექსუალობის შეზღუდვის წნეხს უფრო მეტად განიცდიდა, ვიდრე მამაკაცი, თუმცა ასეც განსხვავდებოდა საზოგადოებებსა და სოციალურ ფენებს შორის და ქალების მიერ გაუცნობიერებელი და გაუპროტესტებელი რჩებოდა. საქართველოს როგორც პატრიარქალური და ქრისტიანული კულტურა, ასევე მკაცრ წესებს აწესებდა ქალის სექსუალონის კონტროლზე, რომლიც ნათელი მაგალითია ქალწულობის ტრადიცია. თუმცა მეოცე საუკუნის 50 იანმა წლებმა, დასავლეთის სექსუალურმა რევოლუციამ, „რკინის ფარდის: რღვევამ, ქალთა ემასიპაციამ ორმაგი

მორალი და ქალის სექსუალობის შეზღუდვა შეამცირა, თუმცა ჩაკეტილ ჯგუფებში (ამ შემთხვევაში კი სვანეთის კვლევის მაგალითს ვგულისხმობ) ეს პროცესი შუქცევადია.

3. სექსუალური განათლება საქართველოში

როდესაც საქართველოში ტაბუირებული ეროტიზმის, ქალების სექსუალობაზე დაწესებულ კონტროლისა და იგნორირებული სექსუალური ჯანმრთელობის პრობლემებზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით სექსუალური და რეპროდუქციული განათლების საკითხებსაც. იმის გამო, რომ საქართველოში არა თუ სიტყვა „სექსუალურის“, არამედ ტერმინის „სქესობრივი განათლება“ დანერგვა ძალიან რთული საკითხია, ამიტომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასკოლო - საგანმანათლებლო სივრცეში ტერმინის ალტერნატიულ ვერსიაზე შეაჩერა არჩევანი და „სქესობრივი განათლება“ „ჯანსაღი ცხოვრების წესით“ ჩაანაცვლა. ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, რომელშიც „სქესობრივი განათლებასა“ და მის აუცილებლობაზე საუბრობდნენ, სოციალური ქსელების მეშვეობით აუდიტორიის ნეგატიური განწყობები დაფიქსირდა (ექიმები, 2014). გადაცემის გვერდზე გაკეთებულ კომენტარებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდეცია გამოიკვეთება:

- სექსი და სექსზე საუბარი სირცხვილი და გარყვნილებაა, განსაკუთრებით 18 წლამდე ასაკის ბავშვებთან და უფრო კონკრეტულად გოგონებთან;
- „წესიერი ცხოვრებით“ თუ იცხოვრებს ადამიანი, არავითარი პრობლემა არ შეექმნება ჯანმრთელობაზე, არც შიდსი დაემართება და არც ჰეპატიტი. მითუმეტეს, არც ექიმების რჩევა-დარიგება დასჭირდება ცხოვრებაში;
- ამასთან, წესიერად ცხოვრება გაიგივებულია „ქართულ ადათ-წესებით“ ცხოვრებასთან, რაც თავის მხრივ თავშეკავებულ ურთიერთობას გულისხმობს პარტნიორთან. მეორე მხრივ, ის ადამიანები, ვისაც რაიმე სახის ჯანმრთელობის

პრობლემა აქვს სექსუალური აქტივობის გამო, „ბოზებად“, „გარყვნილებად“ და „ცოდვილებად“ არიან მოხსენიებულნი;

- განსაკუთრებით აგრესიას იწვევს ქალების სექსუალური აქტივობა ქორწინების გარეშე; ხაზგასმულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ღირებულია ქალწულობა. აქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონტრაცეფციაზე ინფორმირებულობა მხოლოდ „კანონიერ ოჯახს“ სჭირდება, მთელი ქვეყნის მასშტაბით ასეთი ინფორმაციის გავრცელება კი სექსის პროპაგანდაა და რყვნის ახალგაზრდა, გასათხოვარ ქართველ ქალებს;

- ის ფაქტი, რომ სექსი სიამოვნებისთვის შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, გაიგივებულია ათეიზმთან, ცოდვასთან და ეშმაკისეულ ქცევასთან.

გადაცემა „ექიმების“ მაგალითი, ერთ-ერთი საილუსტრაციო მაგალითია, რომელიც კარგად აჩვენებს ზოგადად საზოგადოებაში სექსუალობასთან დაკავშირებულ დისკურსს, ცვლილებების მიმართ მოქალაქეთა ნაწილის რეიდტენტულობას, არაინფორმირებულობით გამოწვეულ ჯანმრთელობის პრობლემების გაჩენის რისკების გაუცნობიერებულობასთან და რაც მთავარია სექსუალური ქცევის ამორალურ, ანტირელიგიურ კონოტაციაში განხილვასთან.

საზოგადოების მხრიდან სკოლებში „სქესობრივი განათლების“ მიმართ დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა და ხვდება დღესაც. „სქესობრივი განათლების“ სკოლაში დანერგვა მოზარდების ადრეულ სექსუალურ კონტაქტებზე პირდაპირ წახალისებად აღიქმება, რომელიც ამ პოზიიის მქონე შეხედულებებით, ქართველ მოზარდებს ზნეობრივი საფრთხის ქვეშ აყენებს.

საქართველოში არსებული კონსერვატული საზოგადოებრივი დამოკიდებულებების კონტექსტში, ყოვლისმომცვლელი სექსუალური განათლება ვერ დაიგეგმება. თუმცა, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) მიხედვით, გათვალისწინებულია ცვლილებების შეტანა ბიოლოგიის საგნის სტანდარტში, რაც გულისხმობს საბაზო საფეხურზე (VII – IX კლასი) სექსუალურ - რეპროდუქციული საკითხების ბიოლოგიის საგანში უფრო ფართოდ

ინტეგრაციას, ვიდრე ეს აქამდე იყო. მაგალითად, VIII კლასში ქალისა და კაცის რეპროდუქციული სისტემის სწავლებასთან ერთად იგეგმება ისეთი თემების დაფარვა, როგორიც არის ადრეული ორსულობა, მასთან ასოცირებული რისკები და სექსუალური კავშირის გზით გადამდები ინფექციები, მათი ნიშნები და სიმპტომებ (ამაშუკელი & ჯაფარიძე, 2018).

სექსუალური განათლების მისაღებობა და ზოგადად ინფორმირებულობა ქართელ ახალგაზრდებში გამოვავლინე 2014 წელს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მეორადი მონაცემების ანალიზის საშუალებით. კითხვაზე რამდენად სრულყოფილი ინფორმაცია აქვთ რესპოდენტებს სექსისა და რეპროდუქციული ურთიერთობის შესახებ ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას, 52.3% მეტ-ნაკლებად აქვს ინფორმაცია, 40.6% აქვს სრულყოფილი ინფორმაცია, ხოლო 6.5%-ს არ აქვს ინფორმაცია (ოიხ. გრაფიკი #1). ახალგაზრდების უმრავლესობას 34.3%-ს ინფორმაცია ინტერნეტიდან აქვს, 19.3%-ს მეგობრებიდან/თანატოლებიდან, 10.2%-ს წიგნებიდან და ბროშურებიდან, რაც შეეხება მშობლებისგან მიღებული ინფორმაცია, ამ პასუხების წილი მხოლოდ 1.4%-ს შეადგენს.

მორიგი შეკითხვა სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებების შესახებ ინფორმაციის ფლობას შეეხებოდა. ამ შეკითხვაზეც გამოკითხულთა უმრავლესობა 51.4% მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია, 39.5% აქვს სრულყოფილი ინფორმაცია, ხოლო 8.2% არ ფლობს ინფორმაციას (იხ. გრაფიკი #1). ამ შემხთხვევაშიც ძირითადი ინფორმაციის წყარო ინტერნეტი წარმოადგენს. ახალგაზრდების 35.7% სწორედ ინტერნეტიდან ფლობს ინფორმაციას, 11.1% წიგნებიდან და ბროშურებიდან, 10% ტელევიზია/რადიო, 8.2% თანატოლები/მეგობრები, ხოლო მშობლებისგან მიღებული ინფორმაია მხოლოდ 1.4%-ს აქვს.

კვლევის შდეგების მიხედვით ფაქტია, რომ ახალგაზრდების ნახევარი არ არის ინფორმირებული სექსუალური ურთიერთობების, რეპროდუქციული ჯანმრთელობის და გადამდები დაავადებების შესახებ. თუმცა ის ფაქტი, რომ დანარჩენ ინფორმირებულ

ნაწილს ცოდნა ინტერნეტის საშუალებით აქვს მიღებული, მათ ინფორმირებულობის დონეს კითვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

გრაფიკი #1: რამდენად სრულყოფილი ინფორმაცია გაქვთ? (N=658) (%)



შემდეგი შეკითხვა ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე სექსუალური განათლების მიწოდებას შეეხებოდა. გამოკითხული ახალგაზრდების 58% ეთანხმება სექსუალური განათლების სკოლაში სწავლებას, თუმცა წინააღმდეგი არც თუ ისე მცირე ნაწილია (42%) (იხ. გრაფიკი #2).

41.5% თვლის რომ საგანი სავალდებულო არ უნდა იყოს, ხოლო 31.2% მომხრეა საგნის სწავლება იყოს სავალდებულო.

<u>გრაფიკი #2: უნდა ისწავლებოდეს სკოლაში შექსუალური განათლების საგანი? (N=658) (%)</u>



გრაფიკი #3-დან ჩანს, რომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა სექსუალური განათლების საგნის ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე შეტანას, თინეიჯერობის ასაკის შუა წლებს უკავშირებს. თუმცა გვაქვს ერთეული შემთხვევები, რომლებსაც სტუდენტები სექსუალური განათლების შვედურ მოდელს უჭერენ მხარს (ანუ სექსუალური განათლების 5 წლის ასაკიდან ეტაპობრივად მიწოდებას) და ასევე გვაქვს შემთხვევები, როდესაც უთითებენ ასაკს, რომელიც აღემატება ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის სწავლების ასაკს.

<u>გრაფიკი #3: რა ასაკიდან უნდა ისწავლებოდეს სექსუალური განათლება? (N=658) (%)</u>



კითხვაზე თუ რა ინფორმაცის უნდა მოიცავდეს სკოლაში მიწოდებული განათლება, გამოკითხულთა უმრავლესობა 36.5% თვლის, რომ სკოლაში მიწოდებული განათლება უნდა შეეხებოდეს სექსუალური გზით გადამდებ დაავადებებსა და უსაფრთხო სექსს, 23.9% თვლის რომ სექსუალური განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უნდა შეეხებოდეს, 18.3% ფიქრობს რომ სექსუალური ქცევის შესახებ ინფორმირებულობას უნდა მოიცავდეს, 11.2% თვლის რომ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უნდა შეეხებოდეს, ხოლო 8.9% ფიქრობს რომ სქესობრივი აქტივობისგან თავის შეკავების შესახებ უნდა მიეწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია.

ის რესპოდენტები, რომლებიც წინააღმდეგი არიან სექსუალური განათლების საგნის ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე შეტანის, კვლევის შემდეგ ეტაპზე ხსნიდნენ თავის პოზიციას. როგორც გრაფიკი #4-დან ჩანს, სექსუალური განათლების სკოლაში საგნად სწავლების მიუღებლობა ძირითადად სექსუალური თემატიკის ქრისტიანულ რელიგიასა და ქართულ კულტურაში ტაბუირების თემით არის განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტები ყველაზე ხშირად მიუღებლობის მიზეზად ასახელებს, თითქოსდა სკოლის ასაკი ნაადრევი იყოს ამ თემაზე საუბრისთვის, სრულიად ბუნდოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს მოსწავლე ზრდასრული - 18 წლის ასაკში ამთავრებს. რესპოდენთა მეხუთედი უარის მიზეზად არაკვალიფიციურ

კადრებს მიიჩნევს, მაშინ როდესაც მიაჩნია, რომ ამ საკითხზე მოზარდს პროფესიონალმა-სექსოლოგმა ან ფსიქოლოგმა უნდა ესაუბროს.

<u>**გრაფიკი #4: რატომ არ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში საგანი სექსუალური განათლება? (N=658) (%)**</u>



კვლევის პროცესში ასევე დაისვა შეკითხვა იმის შესახებ თუ როგორ ესმით თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ცნება სექსუალური განათლება. გამოკითხულთა უმრავლესობა 34.7% ფიქრობს რომ ეს არის სექსუალური გზით გადამდები დაავადებების და უსაფრთხო სექსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, 24.9% თვლის რომ ეს არის სექსუალური ქცევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, 23.1% ფიქრობს რომ ეს არის სექსუალური განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, 8.4% თვლის რომ ეს არის სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, 7.6%-ისთვის სქესობრივი აქტივობისგან თავის შეკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ნიშნავს, ხოლო 1.2%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთ რესპოდენტი ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს, რომ „საქართველოს მაგალითზე რომ ვთქვათ, აქ ასეთი

პროგრამა არ იქნება მიღებული საზოგადოების მიერ. ვერ აღიქვამენ ამას სერიოზულად. გამოიწვევს დიდ პროტესტს და მშობლებისგან წამოვა რეპლიკები, როგოროცაა მაგალითად „როგორ კადრებ რომ ჩემს შვილს ელაპარაკო ამ თემაზე. ჩემთვის მისაღებია. დედაჩემი რომ არ იყოს გინეკოლოგი და არ ქონდეს ამხელა განათლება ამ საკითხზე,მე არ მექნებოდა იმის ფუფუნება რომ „ასეთი რაღაცეები“ მცოდნოდა. არიან ისეთი ოჯახები სადაც არა თუ განათლება არ აქვთ ამ დონეზე, არამედ საერთოდ არ ხდება დიალოგი მშობლებსა და შვილებს შორის ამ თემასთან დაკავშირებით. ჩემი აზრით კარგი იქნებოდა მაგრამ ეს საზოგადოება არ არის მზად მიიღოს ასეთი დონის პროექტი. მეც ხშირად მილაპარაკია ჩემს მეგობრებთან და თანატოლებთან თუ რას ფიქრობენ ასეთ პროექტზე და ბევრისგან უარყოფითი დამოკიდებულება წამოსულა. ცდილობენ არ მელაპარაკონ ამ თემაზე. მე ძალიან მიკვირს მსგავსი დამოკიდებულება მაგრამ ასეა. ხშირად უთქვამთ, რომ: „მე არ მინდა ჩემი შვილი დადიოდეს ისეთ სკოლაში სადაც მსგავს თემაზე დაელაპარაკებიან, თუ საჭიროა თავად დაველაპარაკები ჩემს შვილებს ამ საკითხებზე“ არადა თვითონ არ იციან რა უნდა ელაპარაკონ ამ საკითხზე.“ მიუედავად იმისა, რომ ეს რესპოდენტი სექსუალური თემის მიმართ ღიაობით გამოირჩევა, რომლის საშუალებასაც მას პირველ რიგში ოჯახური გარემო აძლევს, ინტერვიუს ფარგლებში მის მიერ თავად ცნება „სექსუალურის“ გამოყენებაზე იკავებს თავს, რაც ამ თემის ტაბუირებაზე და რესპოდენტის თავშეკავებულობაზე მიუთითებს.

მეორე რესპოდენტი კი, რომელიც 52 წლისაა ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს, რომ: „ძალიან მომხრე ვარ. მე რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული და მერვე კლასიდან საგანს გავდიოდით „ჰიგიენა“. ამ საგანში ისწავლებოდა სექსუალურობა, ქალმა და კაცმა როგორ დაიცვან თავი და ა.შ. მე მგონი საჭიროა ამის სწავლება ელემენტარულად თავის დაცვა რომ იცოდე მაგ დონეზე. თან ვინც შემდეგ გინეკოლოგობას აპირებს ხომ საერთოდ. სტუდენტები მომდიან საერთოდ საბაზისო ცოდნაც არ აქვთ. ეს არ შეიძლება.“

კვლევაში გამოკითხული იყვნენ ფსიქოლოგიც. მისი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია სექსუალურ - რეპროდუქციული განათლების პროცესი სკოლებში სწორად წარიმართოს და სექსუალური საკითხების შესახებ ინფორმაცია არ იყოს მხოლოდ ნეგატიურ პრაქტიკაზე

ორიენტირებული და არ შეიცავდეს დაშინების ან აკრძალვის ელემენტებს. მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყანაში სექსუალური განათლების მნიშვნელობის და შინაარსის მიმართ მეტად ბუნდოვან წარმოდგენას, რაც იწვევს კიდეც ფართო მასების მხრიდან საკითხის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, აღიქმება გარყვნილებად და ა.შ. როდესაც საუბარია ბავშვებზე ან მოზარდებზე, რესპოდენტი მიიჩნევს, რომ ყველა უფროსს უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ საკითხის კვალიფიციური ცოდნა, არამედ სწორად შერჩეული სწავლების მეთოდიკაც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მოსწავლეებისთვის სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებით არამართებული უკუკავშირის მიცემა, დაშინება, შერცხვენა, დათრგუნვა და ა. შ. როგორც წესი, ბავშვობაში/ მოზარდობაში სექსუალურ საკითხებზე მიღებული არასწორი უკუკავშირის, ინფორმაციის და შთაბეჭდილებების გამო, ზრდასრული ადამიანების სექსუალურ ცხოვრებაში უამრავი პრობლემა და გართულება იჩენს ხოლმე თავს.

რეალურად, არაერთი თვალსაჩინოება არსებობს, რომ ყოვლისმომცველ სექსუალურ განათლებას (CSE) პოზიტიური გავლენა აქვს სექსუალურ-რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით სექსუალური გზით გადამდები ინფექციების, აივ/შიდსით ინფეცირების, არასასურველი ორსულობებისა და აბორტების შემცირებაზე. საერთაშორისო სტატისტიკაზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება არ ისახავს მიზნად მოზარდებში სექსუალური აქტივობის წახალისებას და ეს არც შედეგია მისი. რეალურად, ხდება სწორედ უსაფრთხო სექსუალური ქცევის და თავდაცვის საშუალებების გამოყენების მაჩვენებლების ზრდა. გარდა ამისა, CSE-ის ერთ-ერთი შედეგი, მოზარდებში სექსუალური აქტივობის დაწყების გადავადებაა, რასაც მოზარდებში საჭირო ცოდნის მიწოდება, პასუხისმგებლობის გაცნობიერება, თავდაჯერებულობის, საკუთარი აზრის/პოზიციის გაძლიერება და გენდერული თუ სოციალური ნორმების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების ფორმირება განაპირობებს (ამაშუკელი & ჯაფარიძე, 2018)

4. ორმაგი სტანდარტები ქალებისთვის და კაცებისთვის

ლიტერატურის მიმოხილვის ეტაპზე გამოვლენილი ტენდენცია - სექსუალური საკითხების ტაბუირება, ქალების სექსუალობის კონტროლი, ხოლო მამაკაცების თავისუფლება - ასევე აისახება როგორც რაოდენობრიც, ისე თვისებრივ კვლევებში. პირველ რიგში ვისაუბროთ „ქალიშვილობის ინსტიტუტზე“. ეს ტერმინი მრავალი განსჯის, ქილიკისა თუ დებატის საგანი გამხდარა. ქორწინებამდე თავის შეკავება ქალისთვის, იმდენად კარგად მოწესრიგებული და რეგულირებული იყო, თავისი გაწერილი ნორმებითა და ფუნქციებით, რომ მას „ინსტიტუტის“ ფორმით მოიხსენიებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქალის ქორწინებამდე თავის შკავება, აშკარად მისი სოციალური და ფსიქოლოგიური კონტროლის გამოხატულებაა და გენდერული ასიმეტრიის ერთ-ერთი მიზეზი და შედეგი, იგი არ კარგავს აქტუალობას და კვლავ დაცულ ტრადიციათა შორის გვხვდება.

<u>**გრაფიკი #5: ვისთან მიგაჩნიათ იანშექონილად ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა (N=658)**</u> <u>**(%)**</u>



<u>გრაფიკი #6: ვისთან მიგაჩნიათ მიზანშეწონილად ქორწინებამდელი სექსუალური ურთიერთობა * რესპოდენტთა სქესის მიხედვით(%)</u>



იმის გასარკვევად, ხომ არ არის სექსუალური შეზღუდვები გოგონებისთვის თავსმოხეული საწინააღმდეგო სქესის მხირდან, იგივე კითხვა გავაანალიზე რესპოდენტის სქესთან მიმართებაში. როგორც გრაფიკი #5 გვაჩვენებს შეყვარებულთან, მეგობართან ქორწინებამდე სექსუალური ირთიერთობა უფრობას იფრო მეტად მხარს ვაჟები უჭერენ. მართალია ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც გვხვდება რესპოდენტთა სქესის მიხედვით განსხვავება სექს მუშაკთან და შემთხვევით სექსუალურ პარტნიორთან გოგონას ურთიერთობის შეფასებისას. როგორ კვლევამ აჩვენა, ვაჟები ოდნავ მეტი რაოდენობა „აძლევს საშუალებას“ გოგონას იცხოვროს თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით, ვიდრე თავად გოგონები აძლევენ თავის თავს. იგივე ტენდენცია ნარჩუნდება სექსუალური

კავშირის შესაძლებლობის შეფასებიბას ქალი რესპოდენტების 38.4% არ მიიჩნევს მიზანშეწონილად გოგონას ქონდეს სექსუალური ურთიერთობა, მაშინ როდესაც ვაჟებთან ეს მაჩვენებელი 28.8%-ია. ამ მონაცამების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გოგონებში კულტურის, ტრადიციების, რელიგიის გავლენით თვითკონტროლი ძალიან მაღალია.

თუმცა მამაკაცთა ტოლერანტობა ქალის ქორწინებამდე სექსუალური კავშირის მიმართ ჰიპოთეზურ მსჯელობაში ვლინდება, მაგრამ პირადად მასთან მიმართებით საკმაოდ არატოლერანტული ხდება. კითხვაზე იქორწინებით თუ არა გოგონაზე, რომელსაც აქვს სექსუალური გამოცდილება გამოკითხულთა უმრავლესობამ 53.5%-მა უარი განაცხადა, მაშინ როდესაც გოგონას „არაქალიშვილობა“ მისაღები რესპოდენტთა 43.4%-ისთვის აღმოჩნდა. თუმცა გოგონები უფრო მკაცრად იცავენ „ქალიშვილობის ტრადიციას“. გამოკითხული სტუდენტი გოგონების 34/9%-ისთვის არის მისაღები ქორწინებამდელი სექსუალური კავშირი, ხოლო 62.3%-ისთვის კი არა (იხ. გრაფიკი #7). რომ შევაჯამოთ, როგორც დამოკიდებულების, ასევე ქცევის დონეზე, გოგონები უფრო ამჟღავნებენ ქალიშვილობის ინსტიტუტის დაცვისკენ მიდრეკილებას, ვიდრე ვაჟები, თუმცა ორივე შემთხვევაში, გოგონასთვის ქორწინებამდე სექსუალური კავშირისგან თავს შეკავების ტრადიცია მყარია.

<u>გრაფიკი #7: გოგონებისათვის მისაღებია თუ არა ქორწინებამდელი სექსუალური ურთიერთობა, ხოლო ვაჟებისთვის არაქალიშვილ გოგონაზე ქორწინება (GN=357; BN=311)(%)</u>



საინტერესოა რესპოდენთა მხრიდან, ამ ტრადიციის მიმართ ერთგულების დაცვის მიზეზები (იხ. გრაფიკი #8). არაქალიშვილ გოგონაზე ქორწინების მიუღებლობა ყოველი მესამე ვაჟისთვის არაგააზრებული ქმედებაა. მათ არ გააჩნიათ სხვა არგუმენტაცია გარდა იმისა, რომ ბრმად მიუთითონ ქალიშვილობის ინსტიტუტზე, როგორც ქართულ ტრადიციაზე, რომელიც უნდა დაიცვან. ვაჟების მეორე დიდი ჯგუფი ეყრდნობა კლიშეს, რომ ქალიშვილობა ქალის პატიოსნებაა და სწორედ ამ არგუმენტის გამო ამბობს უარს იქორწინოს სექსუალური გამოცდილების მქონდე ქალზე. მესამე ყველაზე ხშირად დასახელებული არგუმენტი ვაჟებისთვის არის რელიგია, თუმცა თუკი ქრისტიანული მოძღვრებას დავეყრდნობით არ მრუშობა არც მაინცდამაინც ქორწინებამდელ კავშირზე მიუთითებს და ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი ოჯახის და საზოგადოების აზრი გამოდის, ხოლო 8.9% კი ქალიშვილობას კვლავ პატიოსნებას უკავშირებს და ამიტომ მიაჩნია, რომ არაქალიშვილი გოგონა მას კარგ შვილებს ვერ აღუზრდის.

გრაფიკი #8: რატომ არ დაქორწინდებოდით არაქალიშვილ გოგონაზე? (N=175) (%)



კვლევის პროცესში ასევე გამოვლინდა რა ფაქტორები განაპირობებენ ქალიშვილობის ინსტიტუტის მიმართ მორჩილებას. კითხვაზე თუ რატომ არ არის მისაღები ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა გოგონების უმრავლესობამ 25.2%მა აღნიშნა, რომ რელიგია არ აძლევს ამის უფლებას, რადგან ეს საქციელი ცოდვად ითვლება, 21.2% თვლის რომ ქორწინებამდე სექსლაური ურთიერთობა ამორალურ საქციელად ითვლება, 18.8% ამბობობს, რომ მათი ოჯახებისთვის ამ ტრადიციის დაცვა მნიშვნელოვანია, 17.3% თვლის, რომ ქალიშვილობის ინსტიტუტი ქართული ტრადიციების ნაწილია, 7.2% თვლის, რომ ხელს შეუშლის გათხოვებაში, 3% თვლის, რომ სხვებს ეცოდინება მისი სექსუალური გამოცდილების შესახებ და დასცინებენ, ხოლო დარჩენილი 7.2% არ არის მომხრე ქორწინებამდე სექსუალურ ურთიერთობაზე თუმცა ზუსტ მიზეზს ვერ ასახელებს. მართალია ვაჟებისგან განსხვავებით გოგონებისთვის რელიგია უფრო მთავარი დეტერმინანტია, თუმცა ფაქტია, რომ აქაც დიდი წილი ტრადიციის ბრმად მორჩილებს, როდესაც აცხადებენ, რომ ქალიშვილობის ინსტიტუტი ტრადიციაა და უნდა დაემორჩილო, ან ის, რომ ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა ამორალურია.

გრაფიკი #9: რატომ არ არის მისაღები ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა? (N=216)(%)



გოგონას ქორწინებამდელი სექსუალური ქცევის მიმართ დამოკიდებულებები ასევე გამოვლენილია პროექტული გზით. კერძოდ, ბიჭებს დაუსვეს შეკითხვა, როგორ მოიქცეოდნენ იმ შემთხვევაში თუ გაიგებდნენ, რომ მათი მეგობარი ქორწინდება გოგონაზე, რომელსაც ქონდა სექსუალური გამოცდილება. გამოკითხულთა უმრავლესობა 53.2% ფიქრობს, რომ ეს მისი საქმე არაა და არ ჩაერევა, 20.8% დაარწმუნებდა გოგონას, რომ „ეღიარებინა“ მომავალ მეუღლესთან თავისი გამოცდილების შესახებ, 15.8% მივა თავის მეგობართან და ეტყვის ამის შესახებ, ხოლო 8.1% ეცდება დაარწმუნოს მეგობარი, რომ არ იქორწინოს ამ გოგონაზე.

გოგონებს დაუსვეს კითხვა, ქონიათ თუ არა მათ მეგობარ გოგონას სექსუალური ურთიერთობა ქორწინების გარეშე. გამოკითხულთა უმრავლესობამ 38.1%-მა აღნიშნა რო ქონია, 31.5% ამბობს რომ არ იცის ქონიათ თუ არა, ხოლო 28.7% ამბობს რომ მათ მეგობარს არ ქონია სექსუალური ურთიერთობა. შემდეგი შეკითხვა ეხებოდა იმას თუ როგორი შეფასება მოყვა მათი მეგობარი გოგონას ქორწინების გარეშე სექსუალურ ურთიერთობას თანატოლების მხრიდან. გამოკითხულთა უმრავლესობამ 22.8% თქვა რომ აღიქვეს, როგორც ჩვეულებრივი ამბავი, 13.4%-მა თქვა რომ გახდა გასაკიცხი, 9.9%-მა აღნიშნა რომ მხოლოდ

თვითონ იცოდნენ, 3%-ს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 0.9% ამბობს რომ მათი საქციელი მოიწონეს.

თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების განწყობები ასევე გამოვლინდა დებულების შემოწმებით. გრაფიკი #10 ასახავს, რომ გოგონები და ვაჟები შეფასებებში რადიკალურად არ განსხვავდებიან. გოგონებიც და ვაჟებიც ძირითადად თანაბრად იღებენ იმ ფაქტს, რომ ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირი ქალისთვის ცოდვაა, მაშინ როდესაც მამაკაცების შემთხვევაში ეს მონაცემები შედარებით იკლებს. ქორწინების გარეშე გაჩენილ ბავშვს, რომ პრობლემები შეექმნება საზოგადოებაში ამას ვაჟები უფრო ეთანხმებიან ვიდრე გოგონები. დებულებას, რომ „არაქალიშვილი ქალი კარგ შვილს ვერ აღზრდის," კვლავ მამაკაცები უფრო იზიარებენ, თუმცა ზოგადად სულ 13% ეთანხმება. პასუხებს შორის გენდერულ ჭრილში ყველაზე დიდი სხვაობა არის დებულებასთან მიმართებაში, რომელიც ქალიშვილობის ინსტიტუს კაცების მხრიდან ქალებზე ზემოქმედების მექანიზმად მიიჩნევენ. ამ დებულებას ქალების 56.8%, ხოლო ვაჟების 36.5% ეთანხმება. ქალისთვის, სექსუალური ლტოლვის შემთხვევაში, რომ გამოსავალი ქორწინებაა, სტუდენტების მეხუთედი ეთანხმება და განსხვავება სქესის მიხედვით არ არის.

გრაფიკი #10: რამდენად ეთანხმებით <u>თითოეულ დებულებას * საშუალო მაჩვენებელი სქესის მიხედვით (სადაც 4 ნიშნავს სრულიად ვეთანხმები, 1სრულიად არ ვეთანხმები)</u>



მოსაზრებას, რომ შეიძლება დაქორწინებულ მამაკაცს შეიძლება ქორწინების გარეთ შემთხვევითი სექსუალური ურთიერთობა ქონდეს „გასართობად“ ქალები უფრო არ ეთანხმებიან (74.6%), ვიდრე მამაკაცები (47.3%). იგივე მოსაზრებაზე ქალების მიმართ, არ ეთანხმება გამოკითხული ქალების 93.2%, ხოლო მამაკაცების - 89.7%. მართალია სხვაობა მცირეა, მაგრამ როგორც ჩანს ადულტერის მიმართ ქართველი გოგონები გაცილებით კრიტიკულები არიან, ვიდრე ვაჟები.

მოსაზრებას, რომ შეიძლება დაქორწინებულ მამაკაცს ქორწინების გარეთ ყავდეს სტაბილური პარტნიორი ქორწინების პარალელურად გაზიარებულია ვაჟების 16.7%-ის, ხოლო გოგონების 6.8%-ის მიერ. რა თქმა უნდა ქალისთვის ქორწინების პარალელურად სტაბილური პარტნიორის ყოლა გაცილებით ნაკლებ გაზიარებულია როგორც მდედრობით, ისე მამრობით რესპოდენრებში. სიღრმისეული ინტერვიუების დროს ორმაგი სტანდარტის არსებობა ქალისა და მამაკაცის სექსუალურ ქცევაზე დადასტურებულია. ერთ-ერთი რესპოდენტი გოგონა ასე აღწერს ადიულტერის ფაქტს მამაკაცის და ქალის შემთხვევაში: „ორივე შემთხვევაში საშინელებაა, მაგრამ კაცზე კიდე ხო იტყვიან ნუ კაცია და რა მოხდა, მაგრამ ქალი? ეს უპატიებელია. ქალს მეტი ჭკუა, პასუხისმგებლობა და თავშეკავებულობა მოეთხოვება ვიდრე მამაკაცს“. მნიშნელოვანია,

რომ ქალისთვის სექსუალური ქცევა მის პიროვნულ მახასიათებელთან კავშირდება და ზოგადად პიროვნების მიუღებლობაში გადადის, როდესაც მამაკაცისთვის, ეს მისი ბუნებრივი მამაკაცური ბუნების ნაწილია და ასახვას არ ჰპოვებს, მისი, როგორც პიროვნების მახასიათებელზე.

<u>გრაფიკი #11: რამდენად ეთანხმებით თითოეულ დებულებას * საშუალო მაჩვენებელი სქესის მიხედვით (სადაც 4 ნიშნავს სრულიად ვეთანხმები, ხოლო 1 სრულიად არ ვეთანხმები)</u>



ქორწინების გარეშე დაორსულების შემთხვევაში ქალის მიერ აბორტის გაკეთების მოწონება არ მოწონება შემოქმებულია სხვა ორ შემთხვევასთან ერთად, როდესაც ოჯახს ეკონომიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია ბავშვის რჩენა და როდესაც ქალს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია ბავშვის გაჩენა (ოც. გრაფიკი #11). გოგონებისა და ვაჟების უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ ჯანმრთელობის

საფრთხის შემთხვევაში ქალმა გაიკეთოს აბორტი. უფრო მეტად მისაღებია აბორტი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხოლო ყველაზე ნაკლებ მისაღები ქორწინების გარეშე დაფეხმძიმების შემთხვევაში აბორტი. საინტერესოა, რომ ამ პოზიციებს თითქმის თანაბრად იზიარებენ როგორც ვაჟები ისე გოგონები. რომ შევაჯამოთ კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბავშვის ღირებულება მაღალია ქართულ კულტურაში და მიუხედავად ქალიშვილობის ინსტიტუტის და ორმაგი მორალის არსებობისა, მის მიმართ ახალგაზრდა თაობაში განწყობები პოზიტიურია.

დასკვნის სახით, კვლევიდან ირკვევა, რომ ქალიშვილობის ინსტიტუტი მნიშვნელოვანი და დაცული ტრადიციაა ქართველ ახალგაზრდებში. ასევე ირკვევა, რომ თანამედროვე ქართულ კულტურაში ორმაგი სტანდარტიც კვლავ მოქმედებს, რაც მამაკაცების სექსუალური ქცევისათვის სრული თავისუფლების მინიჭება და ქალებისთვის უფლებების შეზღუდვაში გამოიხატება. თუმცა ეს ფაქტი არ იწვევს ღირებულებით კონფლიქტს, რადგან ტრადიციული სექსუალური ქცევისა და ორმაგი მორალის მხარდაწერები ორივე გენდერულ ჯგუფში გვხვდებიან.

5. ოჯახი როგორც მაკონტროლებელი თუ თვითკონტროლის მექანიზმი

(ინფივიდუალიზმი, კოლექტივიზმი)

მეცნიერებმა კვლევის შედეგად დაადგინეს ორი კულტურულ-ფსიქოლოგიურად განსხვავებული პიროვნული ტიპის არსებობა და აღწერეს ტერმინებით - ე.წ. დამოუკიდებელი „თვითობა“ და დამოკიდებული „თვითობა“ - ინდივიდუალისტური

ტიპი და კოლექტივისტური ტიპი. ინდივიდუალისტური კულტურისთვის დამახასიათებელი პიროვნებისგან განსხვავებით, რომელიც განიცდება დამოუკიდებელ, ავტონომიურ რეალობად მისი გარემომცველი სოციალური ჯგუფებისგან, კოლექტივისტური პიროვნული ტიპი ხასიათდება თავისი ავტონომიურობის ძალზე დაბალი ხარისხით. სოციალური ჯგუფი ყველა კულტურაში ახდენს გავლენას პიროვნებაზე და მას პიროვნება ანგარიშს უწევს, მაგრამ „დამოუკიდებელ თვითობა"-ს და „დამოკიდებულ თვითობა"-ს შორის განსხვავება თავს აშკარად ავლენს იმით, თუ რა ხარისხით იღებს იგი ზეგავლენას, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევს საკუთარივე ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის „მნიშვნელოვან სხვათა" ჩართულობას თავის ცხოვრებაში (სურმანიძე, 2001).

საქართველოში ერთპიროვნულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლექტივისტური საზოგადოებაა. ამას ადასტურებს როგორც თვისებრიცი ისე რაოდენობრიცი კვლევის შედეგებიც. რესპოდენტები არაქალიშვილ ქალზე იმიტომ კი არ ქორწინდებიან, რომ მათ აქვთ პრობლემა, არამედ იმიტომ, რომ მათო ოჯახები ვერ შეეგუება ამ ფაქტს. ან გოგონა იმიტომ ამბობს უარს ქორწინებამდე სექსუალურ ურთიერთობაზე, რომ მათი ოჯახისთვის მნიშვნელოვანია ქალიშვილობის ტრადიციის დაცვა. რაც ერთი მხრივ მიჯაჭვულობაზე, მეორე მხრივ კი პირადი ცხოვრების ყველა დეტალის გასაჯაროვებაზე მიუთითებს, როდესაც სხვისი ცხოვრების განხილვა საზოგადოებაში საკმაოდ მიღებული ნორმაა. ამაზე საუბრობენ რესპოდენტებიც. სრულიად უცხო ადამიანების ქცევას განიხილავს საზოგადოება. მაგალითად, ერთ-ერთი რესპოდენტს როდესაც დავუსვი კითხვა, იმის შესახებ თუ დაუმსახურებია მის მეგობრებს გაკიცხვა საზოგადოების მხრიდან ქორწინებამდე სექსუალური პარტნიორის ყოლის გამო, მან მიპასუხა, რომ კონკრეტულად მის მეგობრებს არ დაუმსახურებიათ საზგოადოების მხრიდან გაკიცხვა, რადგან ცდილობენ არ ილაპარაკონ და ზოგადად არ მოხვდნენ ისეთ წრეში სადაც, მსგავს საქციელს უარყოფითი აღქმა მოყვება.

თუკი ახალგაზრდა თაობა - ტრადიციებისადმი მორჩილებას ძირითადად უფროს თაობას და საზოგადოებას აბრალებს, ასევე საზოგადოებისკენ იშვერს ხელს უფროსი

თაობაც, რომელსაც ორმაგად ეშინია, რომ ეს წარმოსახული საზოგადოება გააკრიტიკებს მის შვილს, მიუღებელი ქცევისთვის და შემდეგ მას, რადგან ვერ შეძლო შვილის სწორი სოციალიზაცია. მშობლების თაობის წარმომადგენელი ქალბატონოს სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში კითხვაზე თუ რა რეაქცია ექნება მას, რომ გაიგოს მის ქალიშვილს ქორწინებამდე ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა აღნიშნავს: „მომხრე არ ვარ. გოგოს შემთხვევაში განსაკუთრებით. მეცოდება, შეიძლება ვერ აეწყოს და მთელი ცხოვრება მერე არასწორი გზით წაიყვანოს. მაგის გამო არ მოვკლავ თუ ექნება, მაგრამ მომხრე არ ვარ. კარგი არ არის. ეს არ არის ისეთი რაღაც რის გამოც ხალხის სალაპარაკო გახდეს. თან კიდევ არ იცის მომავალში როგორი ქმარი შეხვდება. შეიძლება ზუსტად მაგის გამო ქმარსაც დაშორდეს. ამიტომ არ ვარ მომხრე. იმდენი დისკომფორტი შეხვდება, ისეთი დაძაბული იქნება და ისე აერევა თავისი გონება, აზრი. არ არის ჩვენი საზოგადოება იმისთის მზად, რომ ევროპული ცხოვრება აცადონ ახალგაზრდებს. მეც დისკომპორტი შემექმენა. ჩემსკენაც წამოვა ტალახი, ჩემი ოჯახის წევრებზეც წამოვა მსგავსი ფრაზები: „შვილი ვერ გაუზრდია“ და ა.შ. კულტურიდან გამომდინარე არ ვარ მომხრე.“

ასევე რესპოდენტებისგან, ფიქსირდება ისეთი პასუხები, როდესაც უკვე მათ ქცევებს არა მხოლოდ საზოგადოება და ოჯახი აკონტროლებს, არამედ ჩამოყალიბებული აქვთ ერთგვარი თვითკონტროლის მექანიზმი. მაგალითად ერთ-ერთი რესპოდენტი გვიან სახლიდან გასვლაზე საუბრობდა და აღნიშნა, რომ ბავშვობიდან დაწესებული ქონდა გარკვეული დრო, რომელსაც არ უნდა გადაცდენოდა, და ეს ნორმა დღემდე არსებობს. იცის, რომ გაშვებაზე პრობლემა არ ექნება, თუ ჩაჯდება იმ ნორმებში, რომელიც მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მისთვის ეს არ წარმოადგენს არავითარ შეზღუდვას, პირიქით გარკვეულ სარგებელსაც ნახულობს ამით. იცის, რომ თუ მშობლებს დაუჯერებს და მათი სურვილისამებრ მოიქცევა ექნება ყველაფერი, წინააღმდეგ შემთხვევასში კი ყველაფერს დაკარგავს, ამიტომ, როგორც თვითონ ამბობს, ეს მისთვის მისაღებია და მშობლებთან ამის გამო არათუ კონფლიქტი, შელაპარაკებაც კი არ ქონია. თუმცა ისიც თქვა, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც უწევს მშობლების მოტყუება. ეუბნება, რომ სამეცადინოდ მიდის და ამ დროს მეგობრებთან ერთად ერთობა. მიზეზი თუ რატომ არ ეუბნება მშობელს სიმართლეს არის,

ის რომ დაუშლიდნენ ხშირად მეგობრებთან ერთად გართობას, და ამიტომ კონფლიქტურ სიტუაციას ურჩევნია მოატყუოს ისინი.

ამ თემასთან კავაშირებითაც ფიქსირდება ორმაგი სტანდარტის არსებობა გოგონებისა და ვაჟებისთვის. მაგალითად, ერთ-ერთო ახალგაზრდა გოგონა ინტერვიუში აღნიშნავს: „ჩემი ძმის აზრი უფრო მნიშნელოვანი და პრიორიტიტეტული იყო ყოველთვის ვიდრე ჩემი. როდესაც ის რაიმეს იტყოდა ის აუცილებლად უნდა ასრულებულიყო. ამის გამო ადრეც და ახლაც მომსვლია კონფლიქტი, როგორც ძმასთან, ისე მშობლებთან. აი, მაგალითად, გვიან გასვლა, რომ ავიღოთ მას ისე შეუძლია ღამის 2 საათზე ადგეს და წავიდეს როგორც არაფერი და მე მაგ დროს არათუ გარეთ გასვლა, უკვე გარეთ რომ ვიყო მეგობრებთან ერთად ალბათ ამაფეთქებენ, სანამ არ მივალ და როდესაც მივალ თუნდაც იცოდნენ სად ვიყავი და ვისთან ერთად, მაინც უკმაყოფილო სახით მხვდებიან. განსხვავებულად მექცევიან თუ მაგალითად მეგობრებთან ვარ და ვმეცადინეობ გვიანობამდე. მაშინ ასე ვთქვათ მშვიდად არიან.“

სწორედ ამიტომ, ოჯახის კონტროლი ერთ-ერთი მაკონტროლებელი მექანიზმი შეიძლება აღმოჩნდეს ახალგაზრდა გოგონებისთვის ოჯახის შესაქმენად. ანუ მათ სურთ მშობლების კონტროლისგან თავის დაღწევა და სწორედ ამიტომ ქმნიან ოჯახებს. ამ მოსაზრებას ადასტურებს, როგორც რაოდენობრივი კვლევები ასევე, გამოკითხული რესპოდენტებიც.

კითხვაზე, თუ რა იწვევს გოგონებში ნაადრევ ქორწინებას, გამოკითხულთა 24.6% აღნიშნა სექსუალური ქცევის დაწყების სურვილი, 17.3%-მა კი - მშობლების კონტროლისგან გაქცევის სურვილი. სიღრმისეულ ინტერვიუში ერთ-ერთმა გოგონამ აღნიშნა, რომ მშობლების კონტროლისგან გაქცევის სურვილით სწორედ მისმა მეგობარმა იქორწინა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოება პოსტსოციალურ პერიოდში ნიშვნელოვან ცვლილებას გადის, ტრადიციების და კულტურული ნორმების ცვლილება შედარებით ნაკლები ტემპით მიმდინარეობს. ქართული საზოგადოება კვლავ კოლექტივისტური საზოგადოების ნიშნებით: უფროსების პატივისცემით, სხვების აზრის

მნიშვნელობით, ინდივიდუალური არჩევანის უპატივცემულობით გამოირჩევა; ეს ტენდენცია კი ყველაზე მეტად ადამიანის სექსუალურ ქცევებთან არის დაკავშირებული. რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ ჯგუფური სოციდარობა და ოჯახის სიტყვა არც თუ ისე მცირე ნაწილისთვის არის მისი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი, ხოლო თვისებრივ ნაწილში კი ნათელი ხდება, რომ უფროსი თაობა ახალგაზრდების ცხოვრების წესის გაკონტროლებას საზოგადოების შიშით და მათივე კეთილდღეობისთვის ზრუნავის სახელით ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა თაობა გრძნობს აცნობიერებს უფროსი თაობის მხრიდან გადაჭარბებულ კონტროლს, განსხვავებულ მიდგომებს სხვადასხვა სქესის დედმამიშვილებისამი, ამ ფაქტს ხშირად ეგუება, თავად უწესებს თავის თავს კონტროლს, ახდენს რაციონალიზაციას და ცდილობს მორჩილება მისთვისვე სასარგებლოდ წარმოაჩინოს, განრიდების მექანიზმით ცდილობს კონფლიქტს თავი აარიდოს და მშობლებს სწორი ინფორმაცია არ მისცეს.

კვლევის პროცესში, შემხვდნენ ისეთი ოჯახები, სადაც უმთავრესი ღირებულება შვილებისთვის სრული თავისუფლების მინიჭებაა, სადაც არ ერევიან ერთმანეთის ცხოვრებაში ზედმეტად და მშობელი მხოლოდ რჩევის მიცემით შემოიფარგლება, სადაც იციან პირადი ცხოვრების მნიშვნელობა და აცდიან ახალგაზრდა თაობას იცხოვრონ ისე როგორც მათ უნდათ. ხშირად ამის მიზეზი საკუთარი გამოცდილებაა. მაგალითად, ერთ-ერთი მშობელი სიღრმისეულ ინტერიუში აღნიშნავს, რომ ისე გაზარდეს მისმა მშობლებმა, რომ არაფერი დაუშლიათ და არაფერი აუკრძალავთ, ამიტომ ის თავის შვილებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას და ძალიან დასაშვებადაც კი მიაჩნია თავის შვილს ქორწინებამდე ყავდეს პარტნიორი და დაფიქრებულად გადადგას დაოჯახების ნაბიჯი. მას ურჩევნია, რომ იცოდეს მისი შვილი რას შვება ვიდრე უმალავდეს, რადგას ესმის, რომ თუ უნდა ადამიანს რამის გაკეთება, როგორც არ უნდა დაუშალო მაინც გააკეთებს. ასევე ამბობს, რომ ძალიან ცდილობს ისწავლოს თავისი შვილებისგან, რადგან იცვლება დრო, იცვლება ფასეულობები და ცდილობს დაეწიოს, რადგან არ მოხდეს აზრთა სხვადასხვაობის გამო რამე კონფლიქტი. ამავე აზრს ავრცელებენ მისი შვილებიც. ამბობენ, რომ მშობლებთან ძალიან მეგობრული დამოკიდებულება აქვთ, უყვებიან ყველაფერს, უზიარებენ ერთამნეთს ცხოვრებაში

მომხდარ სიახლეებს, რა თქმა უნდა ეკითხებიან ერთმანეთს აზრს, თუმცა რაღაც ზღვარს იქით არ ერევიან ერთმანეთის ცხოვრებაში. კითხვაზე კი რას მოიცავს ეს ზღვარი იყო პასუხი, რომ ეს არის პირადი ცხოვრება, სადაც ხარ მხოლოდ შენ და არავინ უნდა ჩაერიოს.

კვლევის პროცესში მყავდა ისეთი რესპოდენტიც, რომლისთვისაც პირადი ცხოვრება წარმოუდგენელი იყო მშობლებისგან დამოუკიდებლად. მისი თქმით, „რაღაც პერიოდი მაინც სანამ შენი ოჯახი არ გაქვს, გაქვს პირადი ცხოვრება, მაგრამ შენს პირად ცხოვრებაში შენს მშობლებსაც ძალიან დიდი ადგილი უჭირავთ. ჩემს პირად ცხოვრებაში ჩემი მშობლებიც არიან.“ ზუსტად ამ დამოკიდებულებიდანაც კი ჩანს, რომ ახალგაზრდა გოგო, არის გაზრდილი იმ ტრადიციებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც ქალს გათხოვებამდე პირადი ცხოვრება არ აქვს, იგი გადაჯაჭვულია მშობლების ცხოვრებასთან, რომელსაც გათხოვების შემდეგ ქმარი ანაცვლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საზოგადოებიდან ინდივიდუალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის პროცესი ფიქსირდება თუმცა ეს უფრო ახალგაზრდა თაობაშია შესამჩნევი, ვიდრე საშუალო ასაკის ხალხში. პროცესი დაწყებულია, თუმცა უფროსი თაობის წარმომადგენლები ჯერ კიდევ იმ ღირებულებების დამცველები არიან რომლებზეც გაზარდეს მათმა მშობლებმა. ახალგზარდების გარკვეული ნაწილი ტრადიციების მიმდევარია, ნაწილი კი თავისუფალ ცხოვრებას უჭერს მხარს.

დისკუსია / დასკვნა

კვლევის საწყის ეტაპს რომ დავუბრუნდეთ, კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ტრადიციული და არატრადიციული ქცევის სტანდარტებისადმი უფროსი და ახალგაზრდა თაობების განსხვავებული დამოკიდებულებით გამოწვეული კონფლიქტები. პირველ რიგში საკითხი ისმის, გვხვდება თუ არა კონფლიქტი ტრადიციულ და არატრადიციულ ქცევის გამო თაობებს შორის. რაოდენობრივი კვლევა აჩვენებს, რომ სექსუალური ქცევის ტრადიციული მოდელები ცვლილებებს განიცდის და ხშირად აქტუალურ თემებზე სტუდენტების აზრი ორ ნაწილად იყოფა. ეს შეიძლება იყოს ღირებულებითი კონფლიქტის წყარო, თუმცა ასევე მონაცემები აჩვენებს, რომ ეს ღირებულებითი კონფლიქტი არ არის წარმოშობილი გენდერულ ჯგუფებს შორის. თვისებრივი კვლევა, კი რომელსაც უფრო

დეტალურად უნდა აესახა თაობებს შორის დაპირისპირება, ნათელყოფს, რომ ოჯახებში ტრადიციულ და არატრადიციულ ქცევის კონფლიქტი იშვიათია, თუმცა მაინც არის, განსაკუთრებით ისეთ ოჯახებში, რომლებიც ზედმიწევნით მისდევენ ტრადიციებს და ამასვე მოითხოვენ შვილების თაობისაგან. ასეთ შემთხვევებში უფრო ხშირად კონსტრუქციულ კონფლიქტს ვხვდებით. პირველ რიგში იმიტომ, რომ ახალი თაობაც ძველი თაობის საშუალებით გადის სოციალიზაციას და შესაბამისად უფრო მეტად ესმის უფროსი თაობის არგუმენტების. ასეთ შემთხვევაში ახალი თაობა იაზრებს მშობლების და ოჯახის წევრების მოთხოვნებს და ნაწილობრივი დათმობის გზით ცდილობს მიაღწიოს სარგებელს. ასეთი დათმობა შეიძლება იყოს სახლში ყოველთვის მშობლებისაგან დანიშნულ დროზე მისვლა, რათა მოიპოვოს მათი ნდობა და სამაგიეროდ მიიღოს თანხმობა გარეთ თავისუფლად გასვლაზე. კონფლიქტის ობიექტი შეიძლება ასევე იყოს ორმაგი მორალი ვაჟებთან და ქალებთან მიმართებაში. ეს მორალი შეძლება სექსუალურ ქცევას უშუალოდ ან ირიბად უკავშრდებოდეს. მაგალითად, გვიან ღამით ვიზიტების რაოდენობის და ხანგრძლივობის შეზღუდვა, რომელიც განსხვავებულია ვაჟის და ქალიშვილის შემთხვევაში.

ტრადიციული და არატრადიციული ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებული კონფლიქტები თავის თავში მოიცავს მინი და მაკრო დონეებსაც. მინი დონე ამ შემთხვებაში არის ორი კონკრეტული პიროვნება და მათი განსხვავებული დამოკიდებულებები, შეიძლება იყოს მცირე ზომის ჯგუფიც - ოჯახიც, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მინი დონეზე კონფლიქტი ხშირად გამოწვეულია მაკრო დონეზე ტრადიციული და არატრადიციული სტანდარტების შეჯახების გამო, რომელსაც ზოგადად ქართული საზოგადოების პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, ინდივიდუალისტური ღირებულებების გააქტიურება და ოჯახის, უფროსი თაობის მნიშვნელოვანების კლება განაპირობებს.

ლინკონის ხუთკომპონენტიანი კონფლიქტების კლასიფიკაციასთან მიმართებაში კი ტრადიციული და არატრადიციული ქცევის სტანდარტების ცვლილებით გამოწვეული კონფლიქტები ხუთივე მათგანს შეიძლება შევუსაბამოთ. ეს კონფლიქტები შეიძლება დავუკავშიროთ **ინფორმაციის** ნაკადის ცვლილებას, რადგან სოციალისტურ ხანაში ინფორმაცია შეზღუდული იყო, ხოლო პოსტსოციალისტურ ხანაში ინფორმაციის დიდი ნაკადი შემოიჭრა. ეს ერთი მხრივ იწვევს უფროსი თაობის გაღიზიანებას, სკეპტიციზმს, მეორე მხრივ კი ახალგაზრდა თაობის აღტაცებას უზღვავი ინფორმაციით, რომლის ფილტრაცია ნაკლებად ხდება. კონფლიქტი ასევე არის **ინსტიტუციური**, რადგან ტრადიციები სოციალურად მოწესრიგებული ფენომენებია, მათ დაცვას ემსახურება სოციალური ჯგუფები და არსებობს წახალისებისა და დასჯის მექანიზმები. ეს კონფლიქტი ნამდვილად ატარებს **ღირებულებით** კონფლიქტის სახეს, რადგან როგორც ტრადიციული ქცევის მომხრეებს ჰგონიათ ქალიშვილობის ინსტიტუტი, თუ ორმაგი მორალური სტანდარტები ერთმნიშვნელოვანი ჭეშმარიტება და სწორედ ამ პრიზმაში ხედავს სხვა ღირებულებებს, ასევე ჰგონიათ არატრადიციული ქცევის მომხრეებს რომ თავისუფალი

ცხოვრების წესი ერთმნიშვნელოვანი სწორი ცხოვრების გზაა. ამგვარი ღირებულებითი განსხვავებები ჯგუფებს და ოჯახის წევრებს შორის დიალოგის ნაცვლად მათ შორის დაპირისპირებას აღრმავებს. ნაშრომში განხილული კონფლიქტის ფორმებში შეიძლება ვიპოვოთ **ურთერთდამოკიდებულებითი** კონფლიქტის ფორმაც. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს როდესაც ტრადიციული ქცევის, როგორც ქართული, ქრისტიანული იდენტობის ნაწილის განხილვა ხდება. ამ შემთხვევაში ტრადიციული ქცევიდან გადახვევა, თითქოს იდენტობის და ჯგუფის წევრობის საკითხს აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. ტრადიციული და არატრადიციული ქცევის სტანდარტებისადმი უფროსი და ახალგაზრდა თაობების განსხვავებული დამოკიდებულებით გამოწვეული კონფლიქტებში შეიძლება დავინახოთ **ინტერესთა** კონფლიქტის ჩანასახებიც კი, განსაკუთრებით კი, როდესავ თაობებს შორის განსხვავებულობაზე ვსაუბრობთ. იმ ოჯახებში, სადაც ახალგაზრდა თაობა არ ახორციელებს მშობლების მოთხოვნების შესაბამის ქცევენს, კონკურენცია და დაპირისპირება უფრო ღრმავდება. ინტერესთა კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში შეიძლება იჩინოს თავი ისეთმა განრიდებითმა ქმედებამ, როგორიცაა დაქორწინება გოგონებისთვის. როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ქორწინება ოჯახის კონტროლის თავის დაღწევის მიზნით საკმაოდ გავრცელებულია.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ტრადიციული და არატრადიციული ღირებულებების დაპირისპირება კონფლიქტების ჭრილში, დავუბრუნდეთ კვლევის ამოცანებს. თვისებრივმა და რაოდენობრივიმა კვლევის შედეგებმა ნათელყო, რომ ქართველი ახალგაზრდების სექსუალური ქცევა განსხვავებულია, ვხვდებით ჯგუფს, რომელიც განწყობებითათა თუ ქცევებით არატრადიციულია, თუმცა მათ გვერდით ვხვდებით ჯგუფებს, რომლებიც სრულად იზიარებს ქართულ ტრადიციებს და ეს ცხოვრების ერთადერთი სწორი ფორმა ჰგონია.

იქედან გამომდინარე, რომ თავად ახალგაზრდების ჯგუფში გვხვდება განსხვავებული ქცევის და ღირებულებითი მოდელები, ოჯახებშიც ვხვდებით განსხვევბულ დამოკიდებულებებს ოჯახის წევრებს შორის. კვლევის პროცესში გამოვიკითხე ოჯახები, რომლებშიც ურთიერთობა ძალზე ჰარმონიულია, რადგან მშობლები კონტროლის ფუნქციაზე უარს ამბობენ და ეგუებიან ახალგაზრდების თავისუფალი ცხოვრების სტილს, მაგრამ ასევე ვხვდებით ოჯახებს, სადაც კვლავ ძლიერია ქალიშვილობის ინსტიტუტისა და ორმაგი მორალის გავლენა, თუმცა ამ შემთხვევაშიც ვხვდებით ჰარმონიულ ურთიერთობებს, რადგან ამ გარემოში სოციალიზირებული ახალგაზრდები ღიად არ უპირისპირდებიან მშობლების თაობას, ან თავადაც იზიარებენ ამ განწყობებს.

პრობლემა თავს იჩენს იმ შემთხვევაში, როდესაც ახალგაზრდა თაობა არატრადიციული ღირებულებების მატარებელია, ხოლო მშობლების თაობას ტრადიციული ღირებულებების პოზიციიდან უნდათ მათი კონტროლი. სწორედ ამ

შემთხვევებში ვხვდებით ოჯახში დაძაბულობას, ახალგარზდა თაობის მიერ მშობლებისგან გაუცხოებას, სიმართლის დამალვას. ამ დაძაბულობის ბოლო წერტილი კი განრიდება, გოგონების შემთხვევაში კი ქორწინებაა. თუმცა როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, ეს სულაც ნიშნავს, იმას, რომ გოგონას პირადი ცხოვრება აქვს. მშობლების კონტროლიდან ისინი ქმრების კონტროლში გადაინაცვლებენ და შეიძლება არც იქ ჰქონდეთ ჰარმონიული ურთერთობა.

ბიბლიოგრაფია

Bibliography

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. (2004). დაბრუნებული 2018 წლის 1 ივნისი, National Parliamentary Library of Georgia: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7015-დან

Beck, U., & Grande, E. (2004). *Das kosmopolitische Europa.*

Carleton, G. (1997). Writing-Reading the Sexual Revolution in the early Soviet Union. *Journal of the History of Sexuality*, 229-255.

Eisenstadt, S. N. (2000). *Multiple modernities.*

Engel, B. A. (1987). Women in Russia and the Soviet Union. *The University of Chicago Press*, 781-796.

Evans, B. (2013, 08 16). *Tupes of Conflict*. Retrieved from http://www.typesofconflict.org/

Gagoshashvili, M. (2008). Shapin Women's Reproductive Decisions: The Case of Georgia. 273-285.

Giddens, A. (1997). *Sociology, Polity Press.*

Gorsuch, A. E. (1992). *Soviet Youth and the Politics of Populad Culture during NEP.* Taylor & Francis, LTD.

Kinsey, A. (2018, April 6). *Learn About Sexuality.* Retrieved from Albert Kinsey Findigs: http://www.learnaboutsexuality.org/alfred-kinseys-findings-1948-1953

Myers, & Briggs, I. (n.d.). *The Myers&Briggs Foundation*. Retrieved May 5, 2018, from www.myerbrigs.org: http://www.myersbriggs.org/my-mbti-personality-type/mbti-basics/home.htm?bhcp=1

NAKACHI, M. (2011). A POSTWAR SEXUAL LIBERATION? The gendered experience of the Societ Union's Great Patriotic War. *Cahiers du Monde russe*, 423-440.

Oakley, A. (1985). *Sex, Gender & Society.* Gower Publishing Company Limited.

Rubin, L. B. (1990, May 1). *Erotic Wars: What Happend to the Sexual Revolution?*

Shanbhogue-Arvind, L. (2013). *5 types of conflict in literature with examples.*

Гидденс, Э. (1999). *Социология.*

Смелзер, Н. (1998). *scepsis.net.* Получено june 2018 г., из Социология: https://scepsis.net/library/id_580.html

ავტორთა გუნდი. (2006). *გენდერი "ჩაის შემქმნელთათვის".* თბილისი.

ამაშუკელი, მ., & ჯაფარიძე, ე. (2018). *ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში.* თბილისი.

ბერეკაშვილი, ნ., გოცირიძე , რ., ლორთქიფანიძე, შ., მშვიდობაძე, რ., ნიჟარაძე, გ., რუგოვსკაია-კანდელაკი, მ., და სხვ. (2015). *საგანმანათლებლო პროგრამათა სატრენინგო მოდულები წიგნი II.* თბილისი: ICCN.

ბოგუშვილი, დ., ოსეფაშვილი , ი., გავაშელაშვილი, ე., & გუგუშვილი , ნ. (2016). ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია. *ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია.*-ში თბილისი: ნეკერი.

გაბუნია, შ. (2013). *Civil ენციკლოფედიური ლექსიკონი.* დაბრუნებული National Parliamentary Library Of Georgia: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=19488-დან

დარბაიძე, ე. (2017 წლის 26 ოქტომბერი). *http://womensgaze.org.ge.* დაბრუნებული სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში: საქართველო და ევროპული ქვეყნების გამოცდილება: http://womensgaze.org.ge/2017/10/26/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-

%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90/-დან

ზირიკაშვილი, ფ., მაღრაძე, გ., & ჭანიშვილი, ნ. (2011). *კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა.* თბილისი.

კოდუა, ე. (2001). *კულტურის სოციოლოგიაა.* თბილისი: ნეკერი.

მარგველიანი, მ. (2017 წლის 16 February). *ინტერპერსონალური კონფლიქტები.* დაბრუნებული intermedia.ge: http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/82528-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%-დან

მატარაძე, თ., ჩარკვიანი, თ., გელაშვილი, ნ., & ჭელიძე, ა. (2002). *სოციოლოგიის კვლევები გენდერის სფეროში.* თბილისი: ქალთა საინფორმაციო ცენტრი.

მერკვილაძე, ი. (2003). *გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი.* თბილისი: კავკასიის სახლი.

ნაჭყებია, ზ. (2018). რას ახსნა ტაბუ მამა ერმოლაოსმა და რამ გააღიზიანა მართლმადიდებელი მრევლი და სასულიერო დასი?! *ივერიონი.*

სურმანიძე, ლ. (2001). *ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები (თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები).* თბილისი: ნეკერი.

ღოღობერიძე, ხ. (2018 წლის 30 მარტი). *ტაბულა.* დაბრუნებული http://www.tabula.ge/ge/story/131267-ra-aris-seqsualuri-shevitsroeba-da-sheidzleba-tu-ara-misi-dabraleba-დან

ცერცვაძე, ა. (2013). ადამიანის სექსუალობა. შ. გაბუნია-ში, *შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში* (გვ. 155–168). თბილისი: არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Javakhishvili Tinatin

Conflict driven by contrasting relationship, regarding traditional and non-traditional behavior standards.

(Comporative analyses of age groups)

Master Program in Conflicts Analysis and Management of the Faculty of Social and Political Sciences

In fulfillment of requirements for the degree of Master of Arts

supervisors: Teona Mataradze - Associate Professor;

Marekh Devidze – Invited Lecturer

Tbilisi, 2018